საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 219 (239) ხუთშაბათი, 7 ნოემბერი, 1991 წელი ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

განცხადება

ამ ბოლო ხანს რუსეთის პარლამენტში, ახლა კი რუსეთის სფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც, სულ უფრო ხშირად გაისმის მუქარა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, იღებენ ულტიმატუმურ „გადაწყვეტილებებსა" და „დადგენილებებს", მიმართავენ სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოებისადმი საქართველოს და მისი მოსახლეობის წინააღმდეგ განსაკუთრებულ სანქციათა გამოყენების მიზნით.

სინანულით უნდა ითქვას, რომ გარკვეული წრეები, როგორც თვით რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოში, ასევე მის გარეთაც, იყენებენ რა გარკვეული მიზნებით ყოფილი სსრ კავშირის ხელმძღვანელობის მიერ ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში პროვოკაციულად გამოწვეულ კონფლიქტს, ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ რუსეთის მთავრობასა და პრეზიდენტზე და არსებითად გააგრძელებინონ ძველი, ტრადიციული იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

რუსეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოტყუების მიზნით, რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოში გაძლიერებით ვრცელდება უსაფუძვლო თეზისი საქართველოს რესპუბლიკის აგრესიულობის შესახებ. თანაც განზრახ ჩქმალავენ საქართველოში ეროვნებათშორისი კონფლიქტის გაღვივების მთავარ დამნაშავეს — ყოფილ სსრ კავშირის ხელმძღვანელობას. სრულიად ყალბია რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ბატონ აბდულატიპოვის განცხადებანი, თითქოს საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში 100 ათასი ოსი ლტოლვილი ჩასულიყოს. შეგახსენებთ, რომ, მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მთელი მოსახლეობა შეადგენდა 98.827 კაცს, რომელთაგან ოსი იყო 65.288. თუ გავითვალისწინებთ ამ ოლქიდან ქართველ ლტოლვილებსაც, რომელთა რიცხვმა 20 ათასს მიაღწია, ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არც ერთი მცხოვრები აღარ უნდა იყოს. მაშ ვისლა „იცავენ" იქ საბჭოთა ჯარები? ვის შორის მიმდინარეობს კონფლიქტი?

ცნობილია, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსი მოსახლეობის ნაწილმა, რომელმაც საქართველოს საზღვრების დატოვება მოისურვა, მიიღო ემიგრაციის უფლება და მიეცა კომპენსაცია საქართველოს მთავრობისგან, და, მაშასადამე, ეს ადამიანები ლტოლვილებად ვერ ჩაითვლებიან. უფრო მეტიც, ბევრი ოსი ოჯახი მიდის ჩრდილოეთ ოსეთში და იქ ლტოლვილის სტატუსისა და შესაბამისი ფულადი კომპენსაციის მიღების შემდეგ ბრუნდება საქართველოში, ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში. მათ ხარჯზე ხომ არ გაზრდილა ესოდენ უზომოდ „ლტოლვილთა" რიცხვი?

ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა, რომელიც სპეკულაციურად სარგებლობს ადამიანთა ძნელბედობით, ცდილობს მოითხოვოს, ხოლო რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭო — გაამართლოს დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფა თითქოსდა ლტოლვილთა მოზღვავების ხარჯების ასანაზღაურებლად, სინამდვილეში კი ეს ფული ხმარდება ოსი ექსტრემისტებისათვის სამხედრო დახმარების გაწევას და საქართველოში საბრძოლო მოქმედების ესკალაციას, რაც, ჩვენი აზრით სხვა არა არის რა, თუ არა რუსეთის პარლამენტის მხრივ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების ხელშეწყობა.

ჩვენ სრულიად კატეგორიულად კვლავ და კვლავ ვაცხადებთ, რომ ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი და მასთან დაკავშირებული შედეგები შექმნა არა საქართველოს მხარემ, არამედ მთლიანად უკავშირდება ოსური ნაციონალიზმის გეოპოლიტიკურ ინტერესებს და სსრ კავშირის ხელმძღვანელობის იმპერიულ მისწრაფებებს.

რამდენადაც კონფლიქტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და იქ უშუალოდ არიან დასაქმებული საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ჯარები, რომლებიც ოს ექსტრემისტებთან ერთად მოქმედებენ, აგრესორი შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ერთ პირს — საბჭოთა მთავრობას, და მთელი იმ მატერიალური ზარალის კომპენსაცია, რომელიც საქართველოს, ან ამ აგრესიის სხვა მსხვერპლთ მიადგა, მთლიანად ეკისრება სსრ კავშირის მთავრობას ან მას, ვინც თავს მის მემკვიდრედ თვლის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მთავრობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ საქართველოს მიმართ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს და რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეტენზიების, მათ მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების მიღების გამო, რომლებიც მტრულ ძალებს შესაძლებლობას აძლევს მიაღწიონ ურთიერთობის გაუარესებას რუსეთსა და საქართველოს შორის.

თავის მხრივ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეძებს ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის შედეგად შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს და გადაწყვიტა სთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომ გამოგზავნოს საქართველოში საერთაშორისო ექსპერტები.

თბილისი.
1991 წლის 5 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის

განცხადება

საკავშირო ტელევიზია და ცენტრალური გაზეთები თითქმის ყოველდღე აქვეყნებენ ცნობებს, თითქოს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა იყოს, თითქოს ყოველ ღამით რაკეტებსა და საარტილერიო ჭურვებს უშენენ ცხინვალსა და ზნაურს. მაგალითად, გაზეთმა „პრავდამ" 4 ნოემბრის ნომერში დაბეჭდა საკდესის ცნობა, თითქოს კვირას, 3 ნოემბერს, ქართველი „ბოევიკები" კვლავ თავს დაესხმოდნენ ქ. ცხინვალს, თითქოს ჩვეულებრივ რაკეტებთან და საარტილერიო ჭურვებთან ერთად ახალი, მოქმედების დიდი რადიუსის მქონე რაკეტები გამოეყენებინოთ, ოს მოსახლეობას კი უკვე მიეტოვებინოს ცხინვალისა და ზნაურის რაიონების ყველა სოფელი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს შიდა ქართლში, პოლკოვნიკ თენგიზ ეპიტაშვილს ვთხოვეთ გამოეთქვა აზრი ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის ამ ინფორმაციის გამო. მან გვითხრა:

— საქართველოს ტელევიზიის საშუალებით უკვე საჯაროდ განვაცხადე, რომ 17-18 ოქტომბრის შემდეგ შიდა ქართლში შეწყდა ყოველგვარი სროლა და სისხლისღვრა. საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის ნაწილებთან ერთად ვახორციელებთ ქმედით ღონისძიებებს რეგიონის ქართველი და ოსი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საჭიროდ მიმაჩნია ერთხელ კიდევ განვაცხადო, რომ ცენტრალური ტელევიზიისა და პრესის ყველა ცნობა, მათ შორის გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებული ინფორმაციაც, სრული სიყალბე და დეზინფორმაციაა. იგი მიზნად ისახავს ამ ბოლო დროს რეგიონში დაწყებული სტაბილიზაციის დაბრკოლებას და ფართო საზოგადოებრიობის შეცდომაში შეყვანას. გადაწყვეტილი მაქვს, ამ დღეებში ცენტრალური ტელევიზიითაც ვთქვა ეს.

გარდა ამისა, 5 ნოემბერს, მე და შინაგანი ჯარის ნაწილის ერთ-ერთმა მეთაურმა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ვ. ბარანიკოვს გავუგზავნეთ ოფიციალური წერილი, რომელშიც აღვნიშნეთ, რომ ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის დეზინფორმაცია რეგიონში ვითარებას ძაბავს და ხელს უშლის მშვიდობიანობის აღდგენას.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ზ. ს. მიდელაურის თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ზურა სიმონის ძე მიდელაური თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი.
1991 წლის 6 ნოემბერი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით ნუგზარ შალვას ძე ჩაჩავა გათავისუფლებულია თიანეთის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

ჰელსინკის კავშირის წევრთა საყურადღებოდ!

10 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდება საქართველოს ჰელსინკის კავშირის — ეროვნული აღორძინების მეორე ყრილობა. ცხუმ-აფხაზეთის რეგიონალურ ორგანიზაციებს ვთხოვთ წარმოადგინონ 40, ხოლო საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებს 6-6 დელეგატი.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი.

მისმინეთ

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა...“

კიდევ ვიმეორებ, ჯავახეთის ქართული სოფლების მშენებლობის შეჩერება არ შეიძლება, რადგან ეს იმედის გადაწურვის ტოლფასია. ჯავახეთში მცხოვრებ ქართველთა მოთმინება და იმედი თითქმის უსაზღვრო კია, მაგრამ მართლა უსაზღვრო არაა. ღმერთმა დაგვიფაროს საქართველოს ისე გაუჭირდეს, რომ ამ რეგიონში ყოველწლიურად 40-50 სახლის აშენება ვერ შევძლოთ.

სახლები კი ხარისხიანად, ნამუსიანად უნდა აშენდეს. მიფუჩეჩებით, უგულოდ საქმის კეთება ნებისმიერ ადამიანს ამდაბლებს, მაგრამ როცა ამდენი შრომა და სახსარია ჩაყრილი და სახლებს კარ-ფანჯარა აკლია, გაძარცულია, ბევრი რამ თავიდან ასაშენებელია და ეს ხდება ჯავახეთში, სადაც საცხოვრებელი სახლები სრულიად საქართველოსთვის და გაჭირვებაში ჩავარდნილი ქართველებისთვის შენდება, ეს უკვე უზნეობის ზღვარსაც სცილდება. როგორ მოხდა, მაგალითად, რომ სოფელ ოკამში ვლადიმერ ანთაძის კუთვნილ სახლს კიდევ კარგი, ჯერ კიდევ შესახლებამდე, კედელი, საქვაბე, საპირფარეშო და საკუჭნაო რომ ჩამოენგრა? რაც უნდა მძიმე, უზნეო წარსულიდან მოვდიოდეთ, განა ვინმეს აქვს უფლება კონკრეტული ეროვნული საქმე უგულოდ აკეთოს? როგორღა უნდა შეხედონ, ვისაც ეს ეხება, თვალებში ჯავახეთის და მთელი საქართველოს იმედად აღზრდილ აჭარელ ბავშვებს, რიცხვმცირე, მაგრამ უდრეკ ჯავახ ახალგაზრდობას?

ახალმშენებლობათა ორგანიზატორებო! სად და როდის გაგიგონიათ ახალი სოფლების გაშენება მარტო უხარისხოდ აშენებულ სახლებს ნიშნავდეს, რა ქნას აფნიის, ოკამის, ჩუნჩხის, პტენის, გოგაშენის, განსაკუთრებით კი კოთელიის მოსახლეობამ, რომლებიც თითქმის უწყლოდ არიან? რა ქნან ჩამოსახლებულებმა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას მესამე წელია ბოსლები არა აქვს, როგორ იყოლიონ პირუტყვი, ამ კუთხის მოსახლეობის უმთავრესი მარჩენალი? სპეციალურად ამ მიზნით აშენებული რკინაბეტონის ქარხანა კი უმოქმედოდაა. ან განა საშენი მასალებით მიხმარება მაინც არ შეიძლებოდა?

ისევ უყურადღებოდ დაგვრჩა თვით ჯავახი მოსახლეობა. ძალზე გვიან მივხვდით, რომ მრწამსი „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა", ადგილის დედაზე ყოველთვის ვერ დაამაგრებს ბედის ანაბარა მიტოვებულ ხალხს. ჩამოსახლებულებს უფასოდ ავუშენეთ ორსართულიანი სახლები, ჯავახთა უმრავლესობა კი კვლავ მამაპაპისეულ მიწურებში ცხოვრობს პირუტყვთან ერთად. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა ასეთი სახლების ორ-სამ ოთახში რამდენიმე დასაქორწინებელი ძმა ერთად ცხოვრობს და ეს გაჭირვებაც უშლით, ოჯახი რომ შექმნან. სადღეისოდ ჯავახებისთვის 27 სახლია აშენებული კოთელიაში და თითო სახლი აფნიასა და აზმანაში. კოთელიაში, აზმანასა და აფნიაში კიდევ 28 სახლი შენდება, კიდევ 130 სახლის აშენებაა გათვალისწინებული სხვა ქართულ სოფლებშიც, მაგრამ აშენდება კი? დაელოდებიან კი ჯავახები როდის დაიწყება და დამთავრდება მათთვის ნორმალური სახლების მშენებლობა? ბოლო ხუთ წელიწადში მარტო სოფელ ჩუნჩხიდან გადასახლდა 14 იმედგადაწურული ოჯახი, დაახლოებით 50 კაცი.

ასეთი ვითარება არასასურველ გავლენას ახდენს ჩამოსახლებულ და ადგილობრივ ქართველთა ურთიერთობაზეც, რასაც განსაკუთრებით ძაბავს ის ფაქტი, რომ ჩამოსახლებულ აჭარელთა საგრძნობი ნაწილი არ შედის მათთვის განკუთვნილ სახლებში, ან შედის და დროებით ცხოვრობს, ან ოჯახის მხოლოდ რამდენიმე წევრი რჩება საცხოვრებლად და ა. შ. არ გამოვრიცხავ, ამ ხალხს ობიექტური მიზეზებიც შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ამა წლის ივლისში ჩატარებული აღწერის მიხედვით აფნიაში ადგილზე იყო 148 კაცი, სოფლსაბჭოში კი ჩაწერილია 215, გოგაშენში შესაბამისად, 86 და 138, აზმანაში — 72 და 177, ოკამში — 170 და 480, კოთელიაში — 60 და 116 კაცი.

აჭარლებს არ უნდა ეწყინოთ, პირუთვნელად თუკი ვიტყვით — სერიოზული პრობლემები რომ მოგვარდება, ისინი მტკიცედ უნდა დამკვიდრდნენ ჯავახეთში, ესეც ქართული მიწაა, ესეც მათი წილი საქართველოა, რომელსაც მამულიშვილური მოვლა-პატრონობა უნდა. ხოლო თუ ეს „მიდი-მოდის" განწყობილება კიდევ გაგრძელდა და „მემ" ისევ აჯობა საერთო ინტერესებს, ასეთი ხალხის სახლებში მიწურებში მცხოვრები ჯავახები უნდა შესახლდნენ.

სამწუხაროა, რომ ერთი კუთხის ქართველების მეორე კუთხეში ორგანიზებული მიგრაცია ბევრს ჯერ კიდევ ტექნიკურ, ძირითადად სამშენებლო პრობლემად მიაჩნია. ეს მხოლოდ ამ მომენტის პრობლემაა, რომელიც მშენებლობის პატიოსნად დასრულებისთანავე იხსნება დღის წესრიგიდან.

ბევრად უფრო რთული და სერიოზული პრობლემაა ახალსახლობის ადგილზე მიგრანტთა სოციალური და სამეურნეო ადაპტაცია, ახალ კლიმატურ და ეთნოენობრივ გარემოსთან შეგუება, ტრადიციული ცხოვრების წესის შენარჩუნება და დამხვედრთა ცხოვრების წესთან და ტრადიციებთან შეგუება და სხვა. სამწუხაროდ, ეს არავის გამოუკვლევია არც აჭარლებისა და არც სვანების სხვადასხვა რეგიონში ჩასახლების დროს. წინასწარ გამოკვლევა კი არა, ბევრგან უბრალოდ ადამიანებთან მუშაობაც არ ხდება. ცოდვა გატეხილი სჯობს და ამიტომაცაა არცთუ იშვიათი გართულებები ჯავახთა და აჭარელთა ურთიერთობებში სოფლების დონეზე, სადაც ერთად ცხოვრობენ. ეს შეეხება დასაქმების, შრომის ანაზღაურების, სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშვნის, ორივე მხარესთან სოფლისა თუ მეურნეობის ხელმძღვანელთა ურთიერთობა-დამოკიდებულებისა და სხვა ანალოგიურ საკითხებს. ჩვეულებრივ სიტუაციებში ეს ყველა ცხოვრებისეული, არცთუ რთულად გადასაწყვეტი საკითხებია, მაგრამ ამ შემთხვევაში, როცა ადგილობრივ და ჩამოსახლებულ ქართველობას ერთმანეთის მიმართ ზოგჯერ პრეტენზიები აქვთ, ხელმძღვანელთა უყურადღებობით, დაუფიქრებლობით თუ უტაქტობით წარმოშობილმა გაუგებრობებმა შეიძლება უარყოფითი კატალიზატორის როლი შეასრულონ. გვსურს თუ არა, ეს ასეა; როცა ერთი კუთხის ორ ქართველშიც ვგონებ პიროვნულ-ინდივიდუალური საერთოზე მეტია, რაც კარგს არასოდეს მატებდა დიდქართულ საქმეს, ზემოაღნიშნული შემთხვევები აღარ უნდა იყოს გასაკვირი.

კაცმა გული რომ არ აიყაროს, მით უმეტეს ჩამოსახლებულებმა, მათ ცხოვრების ადამიანური პირობები უნდა შევუქმნათ. ქართული სოფლების უმრავლესობაში კი არ არის აბანო, საბავშვო ბაღი, სატელეფონო კავშირი, კინომომსახურება, საპარიკმახერო და სხვა ელემენტარული სიკეთე. ამას დაუმატეთ, რომ ძალზე გაჭირდა მოსახლეობის პურით, შაქრით და ზამთრისათვის საწვავით მომარაგება, ბევრგან არ იღებულობენ არათუ ფასების გაზრდის საკომპენსაციო თანხას, არამედ ხელფასსაც კი (კოლმეურნეობებში), განმკითხავი და პატრონი კი არავინ ჩანს, ან ვინ უნდა იყოს, როცა ჯიუტი ახირებისა თუ დიპლომატიის ხელოვნების უცოდინარობის გამო ახალქალაქის რაიონში წლის დასაწყისიდან მესამე პრეფექტი დაინიშნა, მაგრამ არც ერთი მათგანი კაბინეტში არ შეუშვეს.

საერთოსთან ერთად სპეციფიკური პრობლემებია ნინოწმინდის რაიონში, სადაც ჩასახლებულთა საკმაოდ ჭრელი კონტინგენტია თავმოყრილი, ზოგჯერ საეჭვოც, ხოლო ის ფონდი, რომელმაც მათ ჩასახლებას თავის დროზე დიდი ამაგი დასდო, ეტყობა, ყოველ შემთხვევაში ასე გვითხრეს ადგილზე, მათთვის ვეღარ იცლის და ღვთის ანაბარა არიან მიტოვებული. როგორც ჩანს, უკონტროლოდ მოხდა ჩამოსახლებულთათვის ძროხებისა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკის დარიგება, ზოგი ვერ დამაგრდა და ნაბოძები თვითონვე მოიხმარა, ან თან წაიღო, ან გაყიდა, ახალჩასახლებული მრავალშვილიანი ოჯახების ერთ ნაწილს კი ძროხა არა ჰყავს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ჩასახლებულები, განსაკუთრებით ნინოწმინდის რაიონში, რომელთა შორის ცოტა როდია თავგადადებული მამულიშვილი, საგანგებო ყოველდღიურ ყურადღებასა და მზრუნველობას საჭიროებენ, თორემ ენთუზიაზმი მალე ჩაქრება, რისი სიმპტომებიც უკვე იგრძნობა და ეს ეროვნული საქმე, ჩვენივე უნიათობით, კიდევ ერთხელ ჩანასახშივე ჩაკვდება.

პრობლემები ბევრად მეტია და ისინი, ბუნებრივია, ვერ ჩაეტევა საგაზეთო წერილში. ახლა კი ინტერესმოკლებული არ მეჩვენება მკითხველს ჯავახეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის ზოგიერთი შედეგი გავაცნო, საიდანაც ასევე კარგად ჩანს, თუ რაოდენი კონკრეტული, საქმიანი და ყოველდღიური ზრუნვა, სათუთი მოპყრობა სჭირდება ჯავახეთს, იქ მცხოვრებ ქართველობას.

ახალქალაქის რაიონის ქართული ოჯახებიდან 18,2 პროცენტი ან მარტოხელაა, ანდა ორსულიანი, ნინოწმინდის რაიონში კი 28,1 პროცენტია ასეთი. გამოკითხულ ჯავახთა ყოველ მეათე ოჯახში შვილებიდან არც ერთი არ დარჩა სოფლად საცხოვრებლად. და მხოლოდ ერთი შვილი დარჩა ოჯახთა 27 პროცენტში.

დამაფიქრებელია ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მიგრანტული განწყობილება. თუ მათი წილი, ვინც რაიონის გარეთ მუდმივ საცხოვრებლად გადასვლას საკმაოდ კატეგორიულად ფიქრობს არც ისე დიდია (ჯავახთა 5,3 და აჭარელთა 3,7 პროცენტი), სამაგიეროდ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს იმ ხალხთან მუშაობა, რომლებიც ჯერ კიდევ ყოყმანობენ. ასეთია ჯავახთა 19,3 და აჭარელთა 36,2 პროცენტი. ესენი პოტენციური მიგრანტები არიან და მიგრანტებად გადაიქცევიან, თუკი დროზე არ მივხედავთ. აღსანიშნავია, რომ მიგრანტულად განწყობილ ჯავახთაგან მეოთხედი თბილისში გადასვლას აპირებს, 29 პროცენტამდე — ახალციხის რაიონში, 23 პროცენტი კი — საქართველოს სხვა რაიონებში; მიგრანტულად განწყობილ აჭარელთაგან მშობლიურ რაიონში დაბრუნებაზე ფიქრობს 61,5 პროცენტი, თბილისში დასახლებაზე — 7,7 პროცენტი, საქართველოს სხვა რაიონებში დასახლებაზე — 23,1 პროცენტი.

მიგრაციის უმთავრეს მიზეზებად ასახელებენ: ცუდ საბინაო პირობებს (ჯავახთა 18,2 და აჭარელთა 15,4 პროცენტი), მეურნეობის მოწყობის სირთულეებსა და მუდმივი სამუშაოს უქონლობას (20 და 25 პროცენტი შესაბამისად), ადგილობრივი ხელმძღვანელობის უყურადღებობას (17,2 და 18 პროცენტი) და რესპუბლიკური ორგანოების მხრიდან უყურადღებობას (11,8 და 12,1 პროცენტი).

ყოველი მესამე ჯავახური ოჯახი ძველ მამაპაპურ სახლში ცხოვრობს პირუტყვთან ერთად, ხოლო ყოველი მეოთხე — ძველზე მიშენებულ პატარა სახლში. ამ მხრივ ჩამოსახლებულთა მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესია, მათი უმრავლესობა მთავრობის მიერ უსასყიდლოდ აშენებულ ორსართულიან სახლში ცხოვრობს, შედარებით მცირე ნაწილი, კერძოდ, ნინოწმინდის რაიონში — შესყიდულ სახლებში.

მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობის დასაქმება. გამოკითხულთა ნახევარი (გამოკითხვამ პრაქტიკულად ყველა ქართული ოჯახი მოიცვა) სოფლის მეურნეობაში მუშაობს, ხოლო მათი ნახევარი მხოლოდ 6 თვეზე ნაკლები პერიოდითაა დასაქმებული. პრობლემას ისიც ართულებს, რომ ჯავახთა 10,2 და აჭარელთა 26,3 პროცენტი არსად არ მუშაობს, ხოლო საოჯახო და პირად დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულ ჯავახთა 60 და აჭარელთა 81,6 პროცენტს სურს მუშაობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჯავახეთის ქართულ სოფლებში ნელა იკიდებს ფეხს დასაქმების ახალი ფორმები, მაგალითად, თითქმის არავის არა აქვს აღებული მიწა ან პირუტყვი იჯარით, კოოპერატივებში დასაქმებულია გამოკითხულთა ერთ პროცენტზე ნაკლები და ა. შ.

არადა, მიწა კერძო საკუთრებაში, ან იჯარით რომ მისცენ, ჯავახთა 40 პროცენტზე მეტი მზადაა 2 ჰექტარს მოუაროს, 32 პროცენტი კი 3-5 ჰექტარის მოვლას კისრულობს; აჭარლებისათვის ეს მაჩვენებლები შესაბამისად 37 და 46 პროცენტია.

ჯავახეთში ქართველობის დამაგრების ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი მათი მატერიალური კეთილდღეობაა. ამ მხრივ აქ საკმაოდ კარგი პირობებია. აჭარელთა უმრავლესობის აზრით, ეს პირობები ბევრად უკეთესიცაა, ვიდრე მამაპაპურ საცხოვრებელ ადგილას ჰქონდათ. მაგრამ ერთია შესაძლებლობა და სხვაა სინამდვილე. ქართველი კაცი ჯავახეთში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ გაიმართა წელში. გამოკითხულ ჯავახთა ოჯახების 7,3 პროცენტის წლიური შემოსავალი ათას მანეთამდეა, 12 პროცენტისა — ათასიდან ორი ათას მანეთამდე, 16,4 პროცენტი კი — ორიდან სამ ათას მანეთამდე. ასე ცხოვრობს ჯავახთა მესამედზე მეტი; ბევრად უარეს მდგომარეობაში არიან აჭარლები, კერძოდ, ათას მანეთამდე შემოსავალი აქვს 23,2 პროცენტს, ათასიდან ორი ათას მანეთამდე — 27,7 პროცენტს და ორიდან სამ ათას მანეთამდე — 18,7 პროცენტს, ე. ი. ოჯახთა თითქმის ორი მესამედის წლიური შემოსავალი სამი ათას მანეთს არ აღემატება; ალბათ ესეცაა ერთი უმთავრესი მიზეზი ჯავახეთში მათი დამკვიდრების სირთულეებისა და მიგრანტული განწყობილებისა.

არადა, თუ გული გულობს, კაცს შრომა უყვარს და ხელსაც უწყობენ, საკმაოდ წელგამართულად შეიძლება ცხოვრება ჯავახეთში. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჯავახთა ოჯახების მესამედზე მეტის წლიური შემოსავალი ხუთი ათას მანეთს აჭარბებს (აჭარელთა შორის ასეთი ოჯახები მხოლოდ 7 პროცენტია); ამაზე კიდევ უფრო ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ ჯავახთა ოჯახების 20 პროცენტზე მეტს არა ჰყავს ძროხა, 26 პროცენტს ღორი და ყოველ მესამე ოჯახს — ცხვარი. ბევრად უარეს მდგომარეობაში არიან ჩამოსახლებულნი; მათ 72,7 პროცენტს სურვილი აქვს და შეუძლია იყოლიოს მეტი პირუტყვი. ასეთ მზაობას აცხადებენ ჯავახებიც.

დიდი ცოდო კია ასეთ სამეურნეო პირობებში მცხოვრებთ და მით უმეტეს მუშახელით რიცხვმრავალ აჭარლებს წელში გასამართავად სათანადო პირობები რომ არ შევუქმნათ, კალმახი და ქერის პური რომ არ ვამრავლებინოთ. როგორც დღინათელ წარსულში იყო, ჯავახეთის მადლიან მიწას დღესაც ძალუძს ძალზე არსებითი წვლილი შეიტანოს დანარჩენი საქართველოს გამოკვებაში, მაგრამ ამ დანარჩენმა საქართველომაც ხომ ყურადღებისა და საქმიანი დახმარების ხელი უნდა გამოიღოს. მკითხველს ვთხოვ, ამ მონაცემებსაც დააკვირდეს — მართალია, ყოველ მეხუთე ჯავახურ ოჯახს ერთი ძროხაც არა ჰყავს, ყოველ მეოთხეს — ღორი და ყოველ მესამეს — ცხვარი, აი ამ პირობებშიც კი ჯავახურ ოჯახთა 77 პროცენტს ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტი რჩება (აჭარელთაგან მხოლოდ 28 პროცენტს); მათგან 14,5 პროცენტი ამ ნამეტს ჯავახეთიდან წასულ შვილებს უგზავნის, 41 პროცენტი — ნაწილს შვილებს უგზავნის, ნაწილს კი ყიდის, 11 პროცენტი — მთლიანად ყიდის და ა. შ. პროდუქციის ამ ნამეტის შექმნას, გარკვეულწილად, ალბათ ჯავახური ოჯახების მცირერიცხოვნობაც უწყობს ხელს.

ალბათ ღირს ჯავახეთის ქართულ ოჯახებშიც რომ შევიხედოთ, ვნახოთ, როგორ ცხოვრობენ ამ მძიმე პირობებში მყოფი ჩვენი თანამემამულენი. ჯავახთა ოჯახების 81,7 პროცენტს აქვს მაცივარი, 86,7 პროცენტს — ტელევიზორი, 41,4 პროცენტს — რადიო, 60 პროცენტს — სარეცხი მანქანა, 62,7 პროცენტს — საკერავი მანქანა, 72 პროცენტს — გაზი, თითქმის ყოველ მეოთხე ოჯახს საკუთარი ავტომანქანა და ა. შ. ასე ვერ ცხოვრობენ ჩამოსახლებულები; მათი ოჯახებიდან მაცივარი აქვს 37,4 პროცენტს, ტელევიზორი — 53,2 პროცენტს, სარეცხი მანქანა — 26,5, საკერავი მანქანა — 17,3, რადიო — 3,7, ავტომანქანა 4,2 პროცენტს და ა. შ. სამწუხაროა, რომ არც ჯავახთა და არც აჭარელთა ოჯახები თითქმის არ სარგებლობენ მტვერსასრუტით, ცენტრალური გათბობით, აბაზანითა და კანალიზაციით.

კაცს მარტო გაჭირვება და მძიმე საცხოვრებელი პირობები კი არ თრგუნავს და გულს უტეხს, არამედ თანამოძმეთა უყურადღებობა და გულგრილობაც; თანაგრძნობა და სიტყვიერი გამხნევებაც ხომ დიდი იმედისმომცემი ძალაა, მით უმეტეს, რომ ჩვენი ჯიში სულ იმედით ცოცხლობდა. ვაი რომ აქაც დავკნინდით, აქაც დავბრმავდით, აქაც უზრუნველები აღმოვჩნდით, აქაც ვერ ვძლიეთ სიზარმაცე ეროვნულ საქმეთა კეთებაში.

ჩვენი ინტელიგენციის უპატივცემულობას, საზოგადოების ერთი ნაწილისათვის ამ ბოლო დროს ლამის არის მოდად რომ იქცა, რომლებიც არ უწყიან იმ ტოტს რომ ჭრიან, რომელზეც სხედან, მე ვერავინ დამწამებს. პირიქით, მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გუშინდელ თუ შორეულ სიძნელესა და კატაკლიზმებში ქართული სულის უტეხობისა და სიმხნევის მთავარი მამოძრავებელი, შთამაგონებელი და გზისგამკვლევი სწორედ ჩვენი ინტელიგენცია იყო და არის, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია — ჯავახეთის ყველა ქართული სოფლის მცხოვრებლებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მათთან არ ყოფილან: ქართველი მწერლები (მიუთითა 91,3 პროცენტმა), ცნობილი მეცნიერები (91,5 პროცენტმა), თეატრალური კოლექტივები (88,7 პროცენტმა), საესტრადო კოლექტივები (93,3 პროცენტმა), ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები (92,2 პროცენტმა), უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები (88,1 პროცენტმა); მე მრცხვენია, რომ ბევრი ჩვენი მეცნიერი, მწერალი თუ ხელოვანი საერთოდ არ ყოფილა ჯავახეთში და ამას კომენტარი აღარ სჭირდება.

დამაფიქრებელია, თუ მეტი არა, ამ რეგიონში მიმდინარე ეთნოენობრივი პროცესებიც. იმედი მაქვს, რასაც ქვემოთ ვიტყვი და საერთოდ ამ წერილში დასმულ პრობლემებსაც კარგად გამიგებენ ჩვენსავით ჭირგამოვლილი ქრისტიანი ძმები—სომხები. თუ მართლა ძმობაზე, ბადრისა და უსუფის მსგავს ძმობაზეა ლაპარაკი, ეჭვი არ მეპარება, სომხებიც შეწუხებული არიან ჯავახეთის ქართული მოსახლეობის პრობლემებით, ხელსაც უწყობენ იქ ქართული სოფლების, ქართული სულის შენარჩუნებასა და გაძლიერებას; არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ სომხებსაც ექნებათ „ჭირ თავო და თავის" მსგავსი ანდაზა. აქ კი იმის თქმა მსურს, რომ გამოკითხულ ჯავახთა მესამედი თავისუფლად ფლობს სომხურს, 15,6 პროცენტი სომხურად, 17,6 პროცენტი კი ქართულ-სომხურად ლაპარაკობს სამსახურში, მეზობლებში სომხურად ლაპარაკობს 13,5 პროცენტი, ქართულ-სომხურად — 25,7 პროცენტი; რაიონულ ცენტრში სომხურად ლაპარაკობს გამოკითხულ ჯავახთა 37,2 პროცენტი, ქართულ-სომხურად — მესამედი. ჯავახთა 1,5 პროცენტი ოჯახში სომხურად ლაპარაკობს, 5,4 პროცენტი კი ქართულ-სომხურად; გამოკითხულ ჯავახთა ბავშვების 6,7 პროცენტი რუსულ სკოლებში სწავლობს, 0,9 პროცენტი კი — სომხურში.

ამ უკანასკნელ მონაცემებზე არსებით გავლენას ახდენს შერეული ქორწინებები, რაც აქ სამჯერ აღემატება საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს და ქართული თვალსაზრისით დაკნინებული დემოგრაფიული ვითარების უშუალო შედეგია. აი ზოგიერთი ფაქტი — 1988 და 1989 წლებში ახალქალაქის რაიონში 1087 ახალი ოჯახი შეიქმნა, აქედან ქართული იყო 33 ოჯახი (3 პროცენტი), მათგან ჰომოგენური კი მხოლოდ 24 ოჯახი, ანუ 73 პროცენტი. ამავე წლებში რაიონში სულ 3212 ბავშვი დაიბადა, რომელთაგან ქართველი ქალის შობილი იყო 70, ანუ 2,2 პროცენტი, მათგან დედმამით ქართველი იყო 81,4 პროცენტი, დანარჩენი — 18,6 პროცენტის მამა კი არაქართველი იყო.

ეს ფაქტები მხოლოდ დასაფიქრებლად მოვიტანეთ, დასკვნებს, შეფასებებსა თუ კომენტარებს აქ შეგნებულად არ ვაკეთებთ, ხოლო თუ ამ საკითხზე ვინმეს ჩემი აზრი აინტერესებს, ან შემოდავება სურს, უმორჩილესად ვთხოვ ჯერ ჩვენი წერილი „ჯიში და უჯიშო დაახლოება" წაიკითხოს „ლიტერატურული საქართველოს" 1989 წლის 15 სექტემბრის ნომერში.

ბოლოთქმა

ვგრძნობ, გადავღალე მკითხველი თხრობით, აზრებით, ციფრებით, ფიქრითა და წუხილით, ვგრძნობ, მოზღვავებული ტკივილი თვითონვე უნდა მოვითოკო და ბოროტად არ ვისარგებლო მკითხველის დიდსულოვნებით. აქ ფართო რეკომენდაციებისაგან თავს ვიკავებ, რადგან დემოგრაფიის და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი კვლევას აგრძელებს და საბოლოო შედეგებს უზენაეს საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს. თანაც ვითვალისწინებ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თავისივე კეთილი ნებით, ასე ვთქვათ, სპონსორად უდგება სამცხე-ჯავახეთის პრობლემებს და მწვანე გზას უხსნის ამ საკითხებზე ნებისმიერ საქმიან პუბლიკაციას. ასე რომ, ამ წერილს სხვებიც უნდა მოჰყვეს. აქ კი მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე შევაჩერებ ყურადღებას.

პირველი, ღრმად მწამდა და მწამს, ჯავახეთს, უპირველეს ყოვლისა, თვით ჯავახებმა უნდა უშველონ, ისე როგორც რაჭას — რაჭველებმა, ხევსურეთს — ხევსურებმა, კახეთს — კახელებმა და ა. შ. მათ უნდა გააცოცხლონ თავიანთი ადგილის დედა, მათ უნდა მიხედონ თავიანთ წილ საქართველოს. გული მომიკვდა, როცა სოციოლოგიური გამოკვლევის მასალები გავაანალიზე — ჯავახეთში დარჩენილთა (და გამოკითხულთა) 71,1 პროცენტის აზრით მათი ოჯახის წასული წევრებიდან (შვილებიდან) არც ერთი არ აპირებს უკან დაბრუნებას; 15,8 პროცენტს მიაჩნია, რომ დაბრუნებას აპირებს ერთი შვილი, 2,2 პროცენტს კი — ორი შვილი. მაგრამ არც ესაა მაინცდამაინც ცოტა.

მშობლიურ მიწაზე დაბრუნების ძირითად პირობად მათ მიაჩნიათ ნორმალური საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები, მუდმივი სამუშაო და საკმარისი მიწის ფართობი. ნუთუ ეს ისეთი შეუსრულებელი მოთხოვნებია, რომ ვერ უნდა ვუშველოთ საქართველოს ამ ძირძველ მხარეს, ვერ უნდა მოიხადოს მამულიშვილური ვალი ჩვენმა თაობამ? ნუთუ ისევ უნდა გვძლიოს ქართულმა დაუდევრობამ და ჰარი-ჰარალე პატრიოტიზმმა? ვსარგებლობ შემთხვევით და აქვე ცალკე ვაქვეყნებთ დემოგრაფიისა და სოციოლოგიუ-

(დასასრული მე-8 გვ-ზე).

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საქართველოს რესპუბლიკა", № 217-218.

საზღვარგარეთ

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა იმედი გამოთქვა, რომ ისრაელი და არაბული ქვეყნები მორიგდებიან ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანად მოწესრიგების კონფერენციის მე-2 ეტაპის დაწყების შესახებ. ამჟამად დელეგაციები მადრიდიდან, სადაც გაიმართა კონფერენციის პირველი ეტაპი, სამშობლოში გაემგზავრნენ. ბეიკერის თქმით, შესვენება შესაძლოა ორ კვირას გაგრძელდეს. ისრაელი მოითხოვს, რომ მოლაპარაკების შემდეგი ტური ახლო აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყანაში გაიმართოს, არაბულ ქვეყნებს, კერძოდ კი სირიას სურს, რომ შეხვედრები ესპანეთის დედაქალაქში გაგრძელდეს.

გუშინ რომში გაიხსნა ნატოს საბჭოს სესია, იგი განიხილავს თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებს. შემდეგი სესია 20 დეკემბერს გაიმართება, მასზე განზრახულია მიიწვიონ აღმოსავლეთ ევროპის, საბჭოთა კავშირისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების თავდაცვის მინისტრები.

ლატვიის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ლატვიაში მყოფი საბჭოთა არმიის უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის შინაგანი და სასაზღვრო ჯარების ტექნიკა ნაციონალიზებულია და რესპუბლიკის საკუთრებად ცხადდება.

შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ესტონეთის რესპუბლიკას უანგაროდ გადასცეს 100 ათასი ტონა პირუტყვის საკვები, რომელიც 15 მილიონ დოლარად ფასდება. ასეთივე დახმარება გამოეყოფა ლიტვას და ლატვიას.

თურქეთში ვიზიტად მყოფმა აზერბაიჯანის პრემიერმა ჰასანოვმა სამშობლოში დაბრუნების წინ ანკარაში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თურქეთის ხელისუფლებისაგან მიიღო პრინციპული თანხმობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ფორმალური აღიარების შესახებ.

რუსეთის ფედერაციის უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ ჩეჩნეთში ჩატარებული პრეზიდენტის და უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩაითვალოს უკანონოდ და ახალი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონები გაუქმდეს. ამასობაში ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევმა გამოსცა ორი აქტი: ჩეჩნეთის სუვერენიტეტისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესახებ. გროზნოდან იუწყებიან, რომ ოპოზიციამ სცადა ტელევიზიის შენობაზე იერიშის მიტანა, რომელიც მოიგერიეს.

საბჭოთა კავშირის პროკურატურის იუსტიციის მე-2 კლასის სახელმწიფო მრჩეველმა ვიქტორ ილიუხინმა სისხლის სამართლის საქმე აღძრა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის წინააღმდეგ და საქმის გამოძიება ვადიმ ბაკატინს უწყებას დაავალა. გორბაჩოვს ბრალად ედება მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო საბჭოს მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობა, რითაც თითქოსდა დაირღვა 1990 წლის 3 აპრილის საბჭოთა კანონი მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოთა კავშირიდან გასვლის მექანიზმის თაობაზე, რამაც ხელყო საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიული ერთიანობა.

შეერთებული შტატების კონგრესის სენატმა 64 ხმით 31-ის წინააღმდეგ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსად დანიშნა რობერტ გეიტსი, რომელმაც ამ პოსტზე შეცვალა ზაფხულში თადარიგში გასული უილიამ უებსტერი.

სტიქია

ისევ მეწყერი!

ნოემბერში აჭარის მთებში კოკისპირული წვიმები მოვიდა. ნიაღვრებმა ხულოს რაიონის სოფელ დანისპარაულში დიდი მეწყერი გამოიწვია.

მეწყერმა წაიღო ბათუმ-ახალციხის საავტომობილო გზის 300-მეტრიანი მონაკვეთი და კაპიტალური ხიდი, საფრთხე შეექმნა 22 ოჯახს. აქედან 10 ოჯახი მაშინვე გახიზნეს. სტიქიამ სოფელი მოწყვიტა სხვა დასახლებულ პუნქტებს.

შემთხვევის ადგილზე იყვნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, საქართველოში მიწისძვრით დაზარალებული რაიონების აღდგენითი სამუშაოების მაკოორდინირებელი შტაბის უფროსი თამაზ ვაშაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გურამ ვარშალომიძე და სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

დაისახა ღონისძიებები მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მოსამარაგებლად და მეწყრის შედეგად წალეკილი გზისა და ხიდის აღსადგენად.

მიხეილ გორგილაძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საკ. კორ.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ

კარი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობა და მისი უზრუნველყოფის საფუძვლები.

1. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობა გულისხმობს მოსახლეობის ჯანმრთელობის, ყოფაცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც გამორიცხულია გარემოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე.

2. საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობა ხორციელდება:

— ადამიანთა ყოფაცხოვრების, შრომის, დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდის, სანიტარიული კულტურის ამაღლების, ზოგადი და პროფესიული, მასიური ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მოწამვლების, სიკვდილიანობის პროფილაქტიკის მიზნით მიმართული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი პროგრამების რეალიზაციით.

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დაწესებულებების, უწყებების, კოოპერატივების, ერთობლივი და მცირე საწარმოების, სხვა სამეურნეო ობიექტების (დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად), თანამდებობის პირების, ინდივიდუალური მეწარმეების, მოქალაქეების მიერ სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების ნორმებისა და ნორმატივების დაცვით და მათი დარღვევისათვის კანონის წინაშე პასუხისმგებლობით;

— მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური, სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების შესახებ ფართო ინფორმირებით;

3. საქართველოს რესპუბლიკაში მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენურ კეთილდღეობას უზრუნველყოფს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური, რომლის მუშაობა წარიმართება დამოუკიდებლად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და მოქმედი კანონების საფუძველზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო და უწყებრივი სანიტარიული ზედამხედველობის საწარმოო და საზოგადოებრივი კონტროლის სისტემა სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის განუყოფელი ნაწილია.

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის კანონმდებლობა

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის კანონმდებლობა ემყარება ამ კანონსა და მის შესაბამისად სახელმწიფო უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემულ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს.

2. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის კანონმდებლობა უზრუნველყოფს მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენურ კეთილდღეობას და ქმნის აუცილებელ პირობებს მოქალაქეთა ჯანმრთელობის შენარჩუნების, მათი ფიზიკური და სულიერი განვითარების, აქტიური ცხოვრების პერიოდის გახანგრძლივებისა და ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდისათვის.

მუხლი 3. სანიტარიული წესები, ნორმები და ჰიგიენური ნორმატივები

1. სანიტარიული წესები, ნორმები და ჰიგიენური ნორმატივები (შემდეგში — სანიტარიული წესები) — ნორმატიული აქტებია, რომლებიც აწესებს მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და საწარმოო-პროფესიული გარემო პირობების უსაფრთხო და უვნებელ კრიტერიუმებს.

2. სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, ნორმების და ნორმატივების დაცვა, როგორც წესი, აუცილებელია ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი გაერთიანებების, საწარმოებისა და სხვა სამეურნეო ობიექტების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, ერთობლივი და მცირე საწარმოების (დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად), თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისათვის.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის კანონი, სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები; ცალკეულ შემთხვევებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე შეიძლება შემოღებული იქნეს (საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით) დროებითი რესპუბლიკური და ადგილობრივი სანიტარიული წესები, ნორმები და ნორმატივები.

4. სანიტარიული წესების შემუშავების, დამტკიცებისა და მათი მოქმედებაში შესვლის წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. სანიტარიული წესები ოფიციალურად გამოიცემა და თავისუფლად გავრცელდება.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის უფლებამოსილებანი მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის საკითხებში

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის უფლებამოსილებაში შედის:

— საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება და მისი განხორციელება;

— საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კანონმდებლობის შემუშავება;

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების საქმიანობის რეგულირება მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობისათვის;

— საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება და მათ განხორციელებაზე კონტროლი. დაავადებათა პროფილაქტიკის დარგში მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა;

— დაავადებათა გავრცელების ლიკვიდაციისათვის გამიზნული განსაკუთრებული პირობებისა და რეჟიმების შემოღება და გაუქმება;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის ეფექტიანი საქმიანობის უზრუნველყოფა;

2. თანამშრომლობა მოსახლეობის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური პირობების გაუმჯობესების მიზნით.

კარი II

მოქალაქეთა, საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებები და მოვალეობები მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებები

1. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ ჰქონდეთ ყოფაცხოვრების და საქმიანობის კეთილსასურველი გარემო (ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი გარემო, ყოფაცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების, აღზრდის, განათლების პირობები), აწარმოონ თავიანთი საყოფაცხოვრებო და საწარმოო-პროფესიული საქმიანობა ისეთ პირობებში, რომლებიც მავნე და საშიშ ზეგავლენას არ ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე და მომავალ თაობაზე.

ეს უფლება უზრუნველყოფილია იმ კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებით, რომლებიც გამორიცხავენ საყოფაცხოვრებო და საყოფაცხოვრებო და საწარმოო-პროფესიული ფაქტორების მავნე ზეგავლენას ადამიანის ორგანიზმზე, აგრეთვე საწარმოებისა და ორგანიზაციების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, სხვა სამეურნეო საქმიანობის მქონე ობიექტების, კოოპერატივების, ერთობლივი, მცირე საწარმოების (მათი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად) და მოქალაქეების მიერ სახელმწიფო სანიტარიული კანონმდებლობის შესრულებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანებისათვის მიიღონ შესაბამისი ფულადი ანაზღაურება.

ჯანმრთელობის დაზიანების ანაზღაურება წარმოებს ნებაყოფლობით ან სასამართლოს წესით იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მიერ, რომლებმაც დაარღვიეს სანიტარიული კანონმდებლობა და სანიტარიულ-ჰიგიენური წესები, ნორმები და ნორმატივები.

ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში თანხა უნაზღაურდება უშუალოდ დაზარალებულ პირს, ან მისი სურვილის მიხედვით ორგანიზაციას, რომელსაც აღებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება (რეგულირდება კანონით სამედიცინო დაზღვევის შესახებ).

სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმატივების დარღვევით ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების ანაზღაურების სადავო საკითხები გადაიჭრება სასამართლო წესით.

3. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ მიმართონ საწარმოებს, დაწესებულებებს, უწყებებს და მიიღონ მათგან (მათი კომპეტენციის ფარგლებში) მთლიანი მოცულობით სარწმუნო ცნობები:

— მოსახლეობის (ცალკეული სოციალური ჯგუფების) ყოფაცხოვრებისა და შრომის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებისა და მოქმედი სანიტარიული წესების შესახებ;

— კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებისა და მისი შედეგების შესახებ;

— სახალხო მეურნეობის პროდუქციის (მათ შორის კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის) ხარისხის შესახებ;

4. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს უფლება აქვთ უშუალოდ მათი წარმომადგენლის, ან საზოგადოებრივი გაერთიანებების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ სანიტარიული კეთილდღეობისათვის გამიზნული გადაწყვეტილებების დამუშავებაში, განხილვასა და მიღებაში.

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მოვალეობანი

საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები ვალდებულნი არიან:

1. დაიცვან მოქმედი სანიტარიული კანონმდებლობა, სანიტარიულ-ჰიგიენური წესები, ნორმები და ნორმატივები;

2. მონაწილეობა მიიღონ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებაში.

3. შეასრულონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ხელმძღვანელი პირების ბრძანებები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, მიწერილობები, დასკვნები.

4. გამოიყენონ ინფორმაცია, რომლის მიღების უფლება გათვალისწინებულია არსებული კანონით საკუთარი და მოსახლეობის ფართო ფენების ჯანმრთელობის დაცვისათვის.

5. იზრუნონ თავიანთი და მომავალი თაობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მათ ჰიგიენურ აღზრდაზე, რისთვისაც უფლება აქვთ გამოიყენონ სახელმწიფოსა და საზოგადოების შესაძლებლობები.

მუხლი 7. საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები და მოვალეობები

საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად სარგებლობენ იმავე უფლებებითა და მოვალეობებით, რომლებიც გააჩნიათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს.

მუხლი 8. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთა უფლებები

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ყველა საწარმოს, დაწესებულებს ორგანიზაციას (დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად) უფლება აქვს სახელმწიფო სანიტარიული სამსახურიდან და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან ხელშეკრულების საფუძველზე მიიღოს ინფორმაცია გარემოს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის, მოსახლეობის ზოგადი და პროფესიული დაავადების, მოქმედი სანიტარიული წესებისა და ნორმების შესახებ.

2. საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის პროგრამებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში, განხილვაში, მიღებასა და მის რეალიზაციაში.

3. საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კერძო პირებს ფასების მომატების უფლება აქვთ სახალხო მეურნეობის პროდუქციაზე, რომელშიც სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის დასკვნით გამორიცხულია ქიმიური, რადიაქტიური და მიკრობული დაბინძურების არსებობა, ასევე — ადამიანის ორგანიზმზე მავნე ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედება. ეს უფლება განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონით.

მუხლი 9. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მოვალეობანი

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და კერძო პირნი ვალდებულნი არიან:

1. უზრუნველყონ საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიული წესების, ნორმებისა და ნორმატივების დაცვა, განახორციელონ საწარმოო კონტროლი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მათ დასაცავად.

2. საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობების მიხედვით, რესპუბლიკის, ქალაქების, რაიონების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებთან შეთანხმებით გარემოს დაბინძურების ლიკვიდაციის თავიდან აცილების, მოსახლეობის ყოფაცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობების გაჯანსაღების, ზოგადი და პროფესიული, მასიური ინფექციური და არაინფექციური დაავადებების გავრცელების აღკვეთისა და პროფილაქტიკის მიზნით შეიმუშაონ და განახორციელონ კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებები,

3. დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურს ადგილებზე ავარიული სიტუაციების, წარმოების შეჩერების, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შესახებ, რომლებიც საშიშროებას უქმნიან მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენურ კეთილდღეობას.

4. შეასრულონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის გადაწყვეტილებები, დადგენილებები, განკარგულებები, მიწერილობები, აგრეთვე — წარდგინებები სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევისათვის საწარმოო-დაწესებულებების, ორგანიზაციების საქმიანობის შეჩერებისა და დაფინანსების შეწყვეტის შესახებ.

5. გამოიყენონ მატერიალური სტიმულირების ფორმები შრომითი კოლექტივებისა და ცალკეული მუშაკების დაინტერესებისათვის.

6. შექმნან მუშაკთა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების, ზოგადი და პროფესიული დაავადებების პროფილაქტიკის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პირობები.

7. განახორციელონ მუშაკთა და მოსახლეობის ჰიგიენური აღზრდა-განათლება, სანიტარიული კულტურისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით.

8. უზრუნველყონ მოქალაქეთა და სამართლებრივ ურთიერთობათა სხვა სუბიექტების უფლებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კანონის მე-5 და მე-8 მუხლებით.

მუხლი 10. მოქალაქეთა და სამართლებრივი ურთიერთობების სხვა სუბიექტების უფლებათა დაცვა

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების, თანამდებობის პირების კოლეგიალური ან ერთპიროვნული გადაწყვეტილება, ან ქმედება, რომელიც ლახავს იურიდიულ პირთა და მოქალაქეთა ამ კანონის მე-5 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებებს, შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში შესაბამის ზემდგომ ორგანოებში. მიღებულ გადაწყვეტილებაზე უთანხმოების შემთხვევაში შეიძლება გასაჩივრება სასამართლოში დადგენილი წესის მიხედვით.

სარჩელის აღძვრა გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების ქმედებას არ აჩერებს.

კარი III

მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ზოგადი მოთხოვნები

მუხლი 11. დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება

1. დასახლებული პუნქტების დაგეგმარება და განაშენიანება ითვალისწინებს მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და ჯანმრთელობისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას, ქალაქების, რაიონების და სხვა დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობას, გარემოს, საყოფაცხოვრებო და საწარმოო-პროფესიული ფაქტორების ადამიანის ორგანიზმზე მავნე და საშიში ზემოქმედების პროფილაქტიკას და აღკვეთას, ქალაქების, რაიონების და სხვა დასახლებული პუნქტების გენერალური გეგმების შემუშავებასა და განაშენიანებას. სამოქალაქო, საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების განლაგებას, მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის შერჩევას. ასევე ობიექტების (კომპლექსების) სატრანსპორტო და საინჟინრო-ტექნიკური ქსელების რეკონსტრუქციას, მშენებლობასა და მის მოდერნიზაციას მოქმედი სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვით.

2. მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა, დაპროექტების ნორმების დამტკიცება, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო კომუნალური დანიშნულების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და სხვა დაწესებულებების მშენებლობის, რეკონსტრუქციის, მოდერნიზაციის საპროექტო და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის დამტკიცება და მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის დასკვნის გაცემის შემდეგ, მოქმედი სანიტარიული წესების დაცვის შესაბამისად.

3. ობიექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებზე პასუხისმგებელი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევის შემთხვევაში ვალდებულნი არიან შეწყვიტონ სამუშაო და მათი დაფინანსება მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ან მისი მოადგილის მიერ გამოტანილი დადგენილებისთანავე.

მუხლი 12. მასალები, ნივთიერებები, ნაკეთობანი და სახალხო მეურნეობის სხვა პროდუქცია, მათი დამზადების ტექნოლოგია

1. მასალები, ნივთიერებები, ნაკეთობანი და სახალხო მეურნეობის სხვა პროდუქცია, რომლის ტრანსპორტირებაში, შენახვასა და გამოყენებაში უშუალოდ მონაწილეობს ადამიანი, თავიანთი თვისებებითა და მაჩვენებლებით უნდა შეესაბამებოდნენ მოქმედი სანიტარიული წესებით დადგენილ ნორმას და არ ახდენდნენ მავნე ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე.

2. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი ახალი ტექნოლოგიური პროცესები, მასალები, ნივთიერებები, ნაკეთობანი შესაძლებელია დაიშვას წარმოებაში დასანერგად და გამოსაყენებლად მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის დასკვნის გაცემის შემდეგ.

3. საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, პასუხისმგებელნი იმ პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც არ შეესაბამება სანიტარიულ წესებსა და ნორმებს, ვალდებულნი არიან შეწყვიტონ მისი წარმოება და რეალიზაცია მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ან მისი მოადგილის მიერ გამოტანილი დადგენილებისთანავე.

მუხლი 13. სასურსათო ნედლეული, საკვები პროდუქტები, მათი დამზადების ტექნოლოგიური პროცესები და მათთან შეხებაში მყოფი მასალები და ნაკეთობანი

1. სასურსათო და სამომხმარებლო ნედლეული, საკვები პროდუქტები, მათი დამზადების ტექნოლოგიები, მათთან შეხებაში მყოფი მასალები და ნაკეთობანი, რომლებიც გამოიყენება მათი დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის დროს, უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სანიტარიულ წესებსა და ნორმებს.

2. ახალი საკვები პროდუქტების შემუშავება და წარმოებაში დანერგვა, ახალი ტექნიკური დანადგარებისა და ტექნოლოგიური პროცესების წარმოებაში დანერგვა, ტარის, ჭურჭლის, შესაფუთი მასალებისა და საკვები კონცენტრატების წარმოება დასაშვებია მხოლოდ სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მოქმედი სანიტარიული წესების დაცვის შესაბამისად.

3. სასურსათო ნედლეული, საკვები პროდუქტები და მათთან შეხებაში მყოფი მასალები და ნაკეთობანი, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ წესებსა და ნორმებს, დაუყოვნებლივ იხსნება დამამზადებლის (გამყიდველის) მიერ წარმოებიდან (რეალიზაციიდან) მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ან მისი მოადგილის მიერ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 14. საზღვარგარეთ შესყიდული პროდუქცია

საზღვარგარეთ შესყიდული პროდუქციის რეალიზაცია, მისი მოხმარება და გამოყენება ექვემდებარება სანიტარიულ წესებს და უვნებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო მოთხოვნებს.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შესყიდული პროდუქციის რეალიზაცია, მისი მოხმარება და გამოყენება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხდება მხოლოდ რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის მიერ შესაბამისი დასკვნის გაცემის შემთხვევაში.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოოპერატივები, ერთობლივი და მცირე საწარმოები (მიუხედავად დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა), ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც ახორციელებენ საზღვარგარეთ შესყიდული პროდუქციის რეალიზაციას, მოხმარებას და გამოყენებას.

მუხლი 15. მოსახლეობის სასმელი და სამეურნეო წყალმომარაგება

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მოსახლეობა უზრუნველყონ სასმელი ოდენობის, სანიტარიული ნორმების შესაბამისი, ხარისხიანი წყლით.

2. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები მოვალენი არიან გაატარონ ცენტრალიზებული წყალმომარაგების განვითარებისა და მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფისათვის გამიზნული კომპლექსური ღონისძიებები.

მუხლი 16. მოსახლეობის წყალმომარაგების წყაროები

1. მოსახლეობის ცენტრალიზებული წყალმომარაგების, ბანაობის, დასვენების, სპორტისა და მკურნალობისათვის განკუთვნილი წყაროები, აგრეთვე დასახლებული ადგილების ფარგლებში მდებარე წყალსაცავების წყლის ორგანოლეპტიური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები უნდა აკმაყოფილებდეს მოქმედ სანიტარიულ წესებს.

2. მოსახლეობის წყალმომარაგების წყაროების მოსალოდნელი გაბინძურების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს განსაკუთრებული რეჟიმის სანიტარიული დაცვის ზონებს.

3. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები წყლის ხარისხის სანიტარიული წესების დარღვევის შემთხვევაში მოვალენი არიან შეწყვიტონ მოსახლეობის წყლით მომარაგება მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ან მისი მოადგილის დადგენილებისთანავე.

მუხლი 17. დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერი; ადამიანთა მუდმივი ან დროებითი ადგილსამყოფელის ჰაერი

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერი, საწარმოო დაწესებულებების ტერიტორიის, ადამიანთა მუდმივი ან დროებითი ადგილსამყოფელის ჰაერი თავისი შემადგენლობითა და ხარისხით უნდა აკმაყოფილებდეს სანიტარიულ წესებს.

2. დასახლებული ადგილების ატმოსფერული ჰაერის საწარმოებო გამონაბოლქვებით გაჭუჭყიანების თავიდან აცილების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აწესებს სპეციალური რეჟიმის მქონე სანიტარიული დაცვის ზონებს.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმის მიუხედავად, ვალდებულნი არიან გაატარონ კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებები ატმოსფერული ფიზიკური ფაქტორების ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციისათვის.

მუხლი 18. საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამარხვა, გადამუშავება, გაუვნებლობა და უტილიზაცია

1. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ცალკეული მოქალაქენი პასუხისმგებელნი არიან დასახლებული ადგილების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ტერიტორიაზე საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებაზე, გადამუშავებაზე, გაუვნებლობაზე, დამარხვაზე და უტილიზაციაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უვნებელი მეთოდების გამოყენებით და მოქმედი სანიტარიული წესების დაცვით.

2. საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვების, გადამუშავების, გაუვნებლობის, დამარხვისა და უტილიზაციისათვის მოქმედ სანიტარიულ წესებს შეიმუშავებს საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახური.

3. დასახლებული ადგილების ტერიტორიის შესაბამისი სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფის წესებსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების საკრებულოები.

მუხლი 19. საცხოვრებელი შენობები

1. მოსახლეობის მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ბინები განლაგებითა და აღჭურვილობით უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის კეთილსასურველ პირობებს.

2. დაწესებულებები, ორგანიზაციები და მოქალაქეები ვალდებულნი არიან საცხოვრებელ შენობებში ადამიანთა შესახლებისა და ცხოვრების დროს დაიცვან შესაბამისი სანიტარიული წესები და ნორმები.

მუხლი 20. საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ექსპლოატაცია

1. საწარმოო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობების ექსპლუატაციისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ადამიანთა ყოფაცხოვრების, შრომისა და დასვენების კეთილსასურველი პირობები, გარემოს დაცვა, მოსახლეობაში დაავადებების აღმოცენებისა და გავრცელების აღკვეთა.

2. საწარმოები, ორგანიზაციები, მოქალაქეები ვალდებულნი არიან მოქმედი სანიტარიული კანონმდებლობის და სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დარღვევის შემთხვევაში დროებით ან მთლიანად შეწყვიტონ საქმიანობა ან ცალკეული საამქროების, უბნების, შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობის, სატრანსპორტო საშუალებების მუშაობა და მომსახურება მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის დადგენილების საფუძველზე.

მუხლი 21. მუშაობა მაიონიზირებელი და არამაიონიზირებელი გამოსხივების წყაროებთან.

1. რადიაქტიურ ნივთიერებებთან და სხვა მაიონიზირებელი და არამაიონიზირებელი გამოსხივების წყაროებთან (ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური ველი, ულტრაბგერა და სხვ.) მუშაობის დროს დაცული უნდა იყოს სანიტარიული წესები.

2. რადიოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა სახის მაიონიზირებელი გამოსხივების წყაროების წარმოება, გამოყენება, შენახვა, ტრანსპორტირება და დამარხვა, აგრეთვე ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროების გამოყენება დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ნებართვით.

მუხლი 22. მოქალაქეთა აღზრდისა და სწავლების პირობები

1. სკოლამდელი სასკოლო, პროფესიულ-ტექნიკური, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, გამაჯანსაღებელი და სხვა საწარმოო დაწესებულებები, რომლებიც ემსახურებიან მოქალაქეთა აღზრდას, სწავლებას, პროფესიულ ორიენტაციასა და მომზადებას, უნდა უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვას, დაავადებათა პროფილაქტიკას და სანიტარიული წესების დაცვას.

2. მოქალაქეთა აღზრდის, სწავლების და პროფესიული მომზადებისათვის სასწავლო პროგრამები, მეთოდიკა და რეჟიმი მტკიცდება მოქმედი სანიტარიული წესების და ნორმების შესაბამისად სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის დასკვნის გაცემის შემდეგ.

მუხლი 23. პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმებანი

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ზოგადი და პროფესიული დაავადებების აღმოცენებისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკები, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული პირები გადიან აუცილებელ წინასწარ (სამუშაოზე მიღებისას) და პერიოდულ (სამუშაოზე მიღების შემდეგ) სამედიცინო შემოწმებას. პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმებები შეტანილია სავალდებულო სამედიცინო დაზღვევით გათვალისწინებული მომსახურების ნუსხაში.

2. მავნე საწარმოო ფაქტორების ნუსხა, იმ სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებისას აუცილებელია წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმებები, აგრეთვე მათი ჩატარების წესი განისაზღვრება სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის მიერ ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროსთან და დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციასთან ერთად.

სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურს უფლება აქვს სათანადო ჩვენებების საფუძველზე ცალკეულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში შემოიღოს სამედიცინო შემოწმებები.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები და დაწესებულებები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მათი მუშა-მოსამსახურეების პროფილაქტიკური გასინჯვისათვის აუცილებელი პირობების შექმნა და სამედიცინო გასინჯვებისათვის შესაბამისი მატერიალური ანაზღაურება.

მუხლი 24. ინფექციური, მასიური არაინფექციური დაავადებებისა და მოწამვლების პროფილაქტიკა და მათი ლიკვიდაცია

1. ინფექციური დაავადებების, მასიური არაინფექციური დაავადებების, მოწამვლების აღსაკვეთად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ტარდებოდეს აუცილებელი კომპლექსური საორგანიზაციო, საინჟინრო-ტექნიკური, ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები.

2. ინფექციური დაავადებების, მასიური არაინფექციური დაავადებებისა და მოწამვლების გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი მოსახლეობისათვის აცხადებს ცხოვრებისა და მუშაობის საგანგებო (საკარანტინო) წესებს.

3. აღნიშნული სამუშაოების ხელმძღვანელობისა და კოორდინირებისათვის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ქმნის ეპიდსაწინააღმდეგო საგანგებო კომისიებს.

4. დაავადებული ადამიანები, დაავადებაზე ეჭვმიტანილნი, ან მათთან კონტაქტში მყოფი პირები ექვემდებარებიან ლაბორატორიულ გამოკვლევებს და სამედიცინო დაკვირვებას, აუცილებლობის შემთხვევაში მათ უტარდებათ შესაბამისი მკურნალობა, ჰოსპიტალიზაცია და იზოლაცია (კარანტინი).

ინფექციური დაავადებების მატარებლები ექვემდებარებიან აუცილებელ მკურნალობას. სამუშაოს ხასიათის გამო თუ ისინი ქმნიან ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეს, დროებით გადაყვანილნი იქნებიან სხვა სამუშაოზე, თუ სხვა სამუშაოზე გადაყვანა შეუძლებელია — გამოჯანმრთელებამდე დაითხოვენ სამუშაოდან და მიეცემათ კომპენსაცია დაზღვევის შესაბამისი ფონდიდან.

5. მოსახლეობის ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით ჩატარებული აცრების წესსა და ვადებს, ასაცრელთა კონტინგენტს განსაზღვრავს ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტრო. აცრების წარმოებაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო სანიტარიული სამსახური.

მუხლი 25. სპეციალური ექსპერტიზები და კონსულტაციები მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის უზრუნველყოფის საკითხებზე

1. სამეცნიერო-კვლევითი და სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები, უწყებები, უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულნი არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის დავალებით შესაბამისი ანაზღაურებით ჩაატარონ სპეციალური საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოები ადამიანის ჯანმრთელობაზე საცხოვრებელი და სამუშაო გარემო ფაქტორების გავლენის შეფასების მიზნით.

2. საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და სპეციალისტები, რომლებიც აწარმოებენ სპეციალურ საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოებს, პასუხისმგებელი არიან მათ ხარისხზე, ობიექტურობასა და სრულყოფილებაზე.

მუხლი 26. მოქალაქეთა ჰიგიენური აღზრდა და განათლება

1. სანიტარიული კულტურის დონის ამაღლების, დაავადებების პროფილაქტიკის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით წარმოებს მოსახლეობის სანიტარიული აღზრდა და განათლება.

2. მოქალაქეთა ჰიგიენური აღზრდა და განათლება ხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დროს სასწავლო პროგრამებში სათანადო მეცადინეობების ჩართვით.

იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის დარგებში სასურსათო და სამომხმარებლო ნედლეულის, მასალების, ნივთიერებების, ნაკეთობებისა და სხვა პროდუქციის დამზადებასთან, შენახვასთან, ტრანსპორტირებასა და რეალიზაციასთან, ბავშვთა და მოზარდთა აღზრდასთან, მოსახლეობის კომუნალურ და საყოფაცხოვრებო მომსახურებასთან, გარემოს დაცვის სამსახურში და სხვა, უტარდებათ პროფესიული ჰიგიენური მომზადება და ატესტაცია.

კარი IV

პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 27. სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევები და მათზე პასუხისმგებლობის სახეები

1. სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევად მიიჩნევა ყველა ქმედება (ან უმოქმედობა), რომელიც ლახავს საზოგადოებისა და მოქალაქეების ინტერესებს, უკავშირდება სანიტარიული კანონმდებლობის, მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების, ასევე სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის თანამდებობის პირთა წინადადებების, დასკვნების, დადგენილებების, მითითებების, მიწერილობების შეუსრულებლობას.

2. სანიტარიული კანონმდებლობის დამრღვევნი ექვემდებარებიან დისციპლინარულ, ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

3. პასუხისმგებლობის აღნიშნული წესი ვრცელდება როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე, ასევე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი სხვა ქვეყნების მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

მუხლი 28. დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. სანიტარიული კანონმდებლობის დამრღვევი თანამდებობის პირები, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაკები ექვემდებარებიან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დისციპლინურ სასჯელს, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოდან გადაყენებას, დათხოვნას, გათავისუფლებასა და მოხსნას.

2. სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ან მისი მოადგილის წარდგინებით საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაადონ დისციპლინური სასჯელი იმ მუშაკებს, რომლებმაც დაარღვიეს სანიტარიული კანონმდებლობა.

მუხლი 29. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა

1. სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევისათვის იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული სასჯელი გაფრთხილების ან ჯარიმის სახით.

2. გაფრთხილება წერილობითი ფორმით გამოაქვს მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს, ან მის მოადგილეს.

3. დაჯარიმება ხდება მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის, ან მისი მოადგილის დადგენილებით.

დაჯარიმება, ჯარიმის ოდენობა და მისი ამოღება, ჯარიმის შესახებ დადგენილების გასაჩივრება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 30. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთა მიერ სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევას მოჰყვება (ან შესაძლოა მოჰყვეს) მოსახლეობის მასობრივი დაავადებები, მოწამვლები და სიკვდილიანობა, საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 31. საწარმოებისა და დაწესებულებების პასუხისმგებლობა საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. საწარმოები და დაწესებულებები, რომლებიც დაუშვებენ გარემოს (ჰაერის, წყლის, ნიადაგის) გაჭუჭყიანებას, ან ისეთი პროდუქციის დამზადებასა და რეალიზაციას, რომლის მოხმარებას მოჰყვება მოსახლეობაში მასიური ინფექციური ან არაინფექციური დაავადებებისა და მოწამვლების გავრცელება, მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ან მისი მოადგილის დადგენილების თანახმად ვალდებული არიან:

გადაიხადონ ჯარიმა ადგილობრივ ბიუჯეტში;

აუნაზღაურონ დამატებითი ხარჯები სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარიულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს და უწყებებს, რომლებმაც გასწიეს დამატებითი სამუშაოები მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისათვის, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის;

ჯარიმებისა ან დამატებითი სახსრების გადახდაზე უარის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი გადაიჭრება სასამართლო ან არბიტრაჟული წესით.

2. ჯარიმებისა და დამატებითი ხარჯების გადახდის წესს განსაზღვრავს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

კარი V

სახელმწიფო და საუწყებო სანიტარიული ზედამხედველობა, საწარმოო და საზოგადოებრივი კონტროლი

მუხლი 32. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა

1. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა არის სანიტარიული სამსახურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, მიმართული მოსახლეობის დაავადებათა პროფილაქტიკისაკენ სანიტარიული კანონმდებლობის გზით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ყველა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციისა და მოქალაქეების მიერ სახელმწიფო სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების, ნორმების და ნორმატივების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახური, ხოლო ადგილებზე — შესაბამისი სანიტარიული სამსახურის ორგანოები.

3. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა გულისხმობს:

— მოსახლეობის ყოფაცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის პირობების გათვალისწინებით მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას, შეფასებასა და პროგნოზირებას;

— მოსახლეობის ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მოწამვლების გამომწვევი მიზეზებისა და პირობების გამოვლინებას და დადგენას;

— კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველმყოფ კომპლექსურ სანიტარიულ-ჰიგიენურ და სანიტარიულ-ტექნიკურ ღონისძიებებზე სათანადო კონტროლს;

— საწარმოებისა და დაწესებულებების, სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიული ნორმების და წესების დაცვაზე და სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარებაზე კონტროლს;

— სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას და იმ პირთა პასუხისმგებლობაში მიცემას, რომელთა ქმედებამაც გამოიწვია აღნიშნული კანონმდებლობის დარღვევა;

— ადამიანთა ყოფაცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის ფაქტორებთან დაკავშირებით მოსახლეობის ზოგადი და პროფესიული, მასიური ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მოწამვლებისა და სიკვდილიანობის სახელმწიფო აღრიცხვის და სანიტარიული სტატისტიკის შესახებ ინფორმირება.

4. სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა ევალება საქართველოს სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურს, რომელიც თავის საქმიანობას აწარმოებს დამოუკიდებლად რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მუხლი 33. უწყებრივი სანიტარიული ზედამხედველობა

უწყებრივი სანიტარიული ზედამხედველობა ეროვნულ სამხედრო დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საგზაო, კავშირგაბმულობის და რკინიგზის ობიექტებზე ხორციელდება შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურებით, რომელთა საქმიანობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიულ კანონმდებლობას.

მუხლი 34. საწარმოო კონტროლი

საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობით დაკავებული მოქალაქეების მოვალეობაა

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ

(დასასრული)

სანიტარიული კანონმდებლობის განუხრელი დაცვა.

მუხლი 35. საზოგადოებრივი კონტროლი

საზოგადოებრივი გაერთიანებები და ორგანიზაციები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი სანიტარიული წესებისა და ნორმების დაცვაზე და შედეგები აცნობონ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურს.

მუხლი 36. ურთიერთმოქმედება სახელმწიფო და უწყებრივი, საწარმოო და საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების დროს

უწყებრივი, საწარმოო და საზოგადოებრივი სანიტარიული ზედამხედველობა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურთან ურთიერთმოქმედებით.

კარი VI

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახური

მუხლი 37. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ორგანიზაცია

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ორგანოები და დაწესებულებები წარმოადგენენ სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ერთიან სისტემას, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი (სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე).

2. საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის კოორდინაცია და ხელმძღვანელობა ევალება შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მთავარ სანიტარიულ ექიმებს, რესპუბლიკის მთავარ სანიტარიულ ექიმთან შეთანხმებით.

3. საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის კოორდინაცია და ხელმძღვანელობა ევალებათ ქალაქებისა და რაიონების მთავარ სანიტარიულ ექიმებს.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის და მასში შემავალი სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და ხელმძღვანელობა ევალება საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სანიტარიულ ექიმს.

5. საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული სამსახურის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან და არაბიუჯეტური სახსრებიდან.

მოსახლეობის მასიური დაავადებებისა და მოწამვლების სალიკვიდაციო კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების დროს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის კომიტეტთან იქმნება სპეციალური ფონდი.

კარი VII

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმების სტატუსი, უფლებები და მოვალეობები

მუხლი 38. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმების სტატუსი

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი არის საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უმაღლესი თანამდებობის პირი. მას აქვს ბეჭედი საქართველოს ღერბის გამოსახულებით და წარწერით „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი“, აგრეთვე სხვა აუცილებელი რეკვიზიტები.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით უზენაესი საბჭოს მიერ. ანალოგიური წესით ინიშნებიან ავტონომიური რესპუბლიკების მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმები.

4. საქართველოს რესპუბლიკის (ავტონომიური რესპუბლიკების) მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის გათავისუფლება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს) რესპუბლიკის პრეზიდენტთან (ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეებთან) შეთანხმებით.

5. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი ანგარიშვალდებულია უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტისა და უზენაესი საბჭოს წინაშე.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი სანიტარიული ექიმი ანგარიშვალდებულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის წინაშე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმად შეიძლება დაინიშნოს პიროვნება, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურში ხელმძღვანელი სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

7. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი მუშაობას წარმართავს დამოუკიდებლად, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონების საფუძველზე.

8. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი ნიშნავს თავის მოადგილეებს, ქალაქებისა და რაიონების მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმებს (ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით).

მუხლი 39. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ძირითადი უფლებები და მოვალეობები

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმი უფლებამოსილია:

1. გასცეს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული აქტები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში.

2. მიიღოს გადაწყვეტილებები, გასცეს ბრძანებები და ინსტრუქციები სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და სანიტარიული სამსახურის ხაზით.

3. დაავალოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ შესაბამის (საჭირო) სამსახურებს მონაწილეობა მიიღონ კანონპროექტებისა და ნორმატიული აქტების შემუშავებაში, აგრეთვე ცალკეული საკითხების ექსპერტიზაში.

4. წარუდგინოს საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და მოქალაქეებს აუცილებელი მოთხოვნები სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დაცვის შესახებ, განახორციელოს კონტროლი ამ მოთხოვნათა შესრულებაზე.

5. შეიტანოს წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოებში, ასევე საფინანსო-საკრედიტო ორგანოებში:

— რესპუბლიკის ცალკეული ქალაქების, რაიონებისა და რეგიონების ტერიტორიაზე მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის განსაკუთრებული პირობების და რეჟიმის შემოღების შესახებ მასიური დაავადებების და მოწამვლების ლიკვიდაციის მიზნით;

— ორგანიზაციების, დაწესებულებების, უწყებების, მოქალაქეთა მიერ საპროექტო, სამშენებლო, რეკონსტრუქციის სამუშაოების ფინანსირების შეჩერების შესახებ, თუ ადგილი აქვს სახელმწიფო სანიტარიული კანონმდებლობის ან სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის მიერ გაცემული განკარგულებების, ბრძანებებისა და მითითებების დარღვევას.

6. სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განსახილველად თანამდებობის პირები და ცალკეული მოქალაქეები გამოიძახოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებში.

7. განიხილოს საკითხები სანიტარიული კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, დაადოს ადმინისტრაციული სასჯელი, გადასცეს მასალები საგამომძიებლო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის და წარუდგინოს შესაბამისი მასალა და წინადადებები სახელმწიფო მართვის ზემდგომ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს დისციპლინარული ზემოქმედებისათვის.

8. საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან, უწყებებიდან, მოქალაქეებიდან ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე მიიღოს დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის ამოცანების განხორციელებისათვის.

9. დღე-ღამის ნებისმიერ დროს (პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემდეგ) შეუფერხებლად შევიდეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე ნებისმიერ ობიექტზე და განახორციელოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობა საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების, უწყებების, ორგანიზაციების, კოოპერატივების, ერთობლივი და მცირე საწარმოების (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა) საცხოვრებელი შენობების, ასევე ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის მწარმოებელ პირთა საქმიანობაზე, მათ მიერ სახელმწიფო სანიტარიული კანონმდებლობის, მოქმედი სანიტარიულ-ჰიგიენური წესების და ნორმების დაცვაზე, მათ მიერ მოსახლეობისა და მშრომელი კოლექტივების ყოფაცხოვრების, შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებისათვის კომპლექსური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებაზე.

10. სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დამრღვევ პირებს დაადოს დისციპლინარული, ადმინისტრაციული სასჯელი, აღძრას სისხლის სამართლის საქმე, მიიღოს გადაწყვეტილება ობიექტების, ცალკეული საამქროების, უბნების, შენობა-ნაგებობების ტექნოლოგიური ხაზებისა და დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა საწარმოო საქმიანობის დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციაში შესვლის, ექსპლუატაციისა და დაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.

11. შეაჩეროს სასურსათო და სამომხმარებლო ნედლეულის, საკვები პროდუქტების, სახალხო მეურნეობის სხვა პროდუქციის წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია, ასევე სასმელი, სამეურნეო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი დანიშნულების წყალმომარაგების წყაროების გამოყენება მათ სანიტარიულ წესებთან და ნორმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში.

12. სანიტარიულ-ჰიგიენური ექსპერტიზის ჩატარებისთვის აიღოს (ამოიღოს) სასურსათო, სამომხმარებლო ნედლეულის, საკვები პროდუქტების, მათთან კონტაქტში მყოფი მასალების, ნაკეთობებისა და სახალხო მეურნეობის წარმოების სხვა პროდუქტების, ჰაერის, წყლის, ნიადაგის და სხვ. ნიმუშები.

13. მონაწილეობა მიიღოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და რესპუბლიკის მთავრობის სხდომებსა და თათბირებში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის ძირითადი მოვალეობაა:

1. ზედამხედველობა და კონტროლი რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოო-დაწესებულებებში და ინდივიდუალურ მეწარმეთა საქმიანობაში სანიტარიული კანონმდებლობის დაცვაზე, მოსახლეობაში მასიური ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მოწამვლების აღმოცენებისა და გავრცელების, აგრეთვე გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების აღკვეთის მიზნით კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების წარმართვასა და შესრულებაზე, რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობის დაცვასა და გაუმჯობესებაზე.

2. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ კანონპროექტების შემუშავების ორგანიზაცია, რესპუბლიკისა და მისი ცალკეული რეგიონების გარემოს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, ყოფა-ცხოვრების, შრომის, დასვენების, მომავალი ჯანსაღი თაობის აღზრდის პირობების გაუმჯობესების, სანიტარიული კულტურის და განათლების დონის ამაღლების კომპლექსური პროგრამების შემუშავება და წარდგენა უზენაეს საბჭოში.

3. დარგობრივ საკითხებზე ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების, რეკომენდაციების შემუშავება და რეალიზაცია.

მუხლი 40. სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა უფლებები და მოვალეობები

— საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი) მთავარ სანიტარიულ ექიმებს უფლება აქვთ სამოქმედო ტერიტორიაზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმთან შეთანხმებით მოქმედებაში მოიყვანონ დროებითი სანიტარიული წესები, ნორმები და ნორმატივები.

— საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქების (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი) მთავარი სანიტარიული ექიმების ძირითადი მოვალეობაა:

— ზედამხედველობა და კონტროლი მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე არსებულ საწარმოო-დაწესებულებებსა და ინდივიდუალურ მეწარმეთა საქმიანობაში სანიტარიული კანონმდებლობის დაცვაზე, მოსახლეობაში მასიური ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მოწამვლების, აღმოცენებისა და გავრცელების, აგრეთვე გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ადამიანთა ორგანიზმზე მოქმედების აღკვეთის მიზნით კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების წარმართვასა და შესრულებაზე, მათდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ეკოლოგიური მდგომარეობის დაცვასა და გაუმჯობესებაზე.

1. მთავარი სანიტარიული ექიმების, ამ სამსახურის თანამდებობის პირებისა და სპეციალისტების მოვალეობაა:

— მათთვის მინიჭებული უფლება-მოსილების გამოყენებით სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევის გამოვლენა, აღმოფხვრა, სანიტარიული კანონმდებლობის, სანიტარიული წესებისა და ნორმების დარღვევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

— მოქმედების კოორდინირება სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, მოქალაქეთა იმ საზოგადოებრივ გაერთიანებებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობით და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის დაცვით.

— დაცვა სახელმწიფო და კომერციული საქმიანობის საიდუმლოებისა, რომელიც ცნობილი გახდება მათი მოვალეობის შესრულების დროს.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის თანამდებობის პირები და სპეციალისტები თავიანთი უფლება-მოვალეობების არასათანადო დონეზე შესრულებისათვის პასუხისმგებელნი არიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის წინაშე.

მუხლი 41. სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა მოქმედების გასაჩივრება

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის გადაწყვეტილების გაუქმება ან შეჩერება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ან რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

2. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქების, რაიონების მთავარი სანიტარიული ექიმების, სხვა თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა მოქმედებისა და გადაწყვეტილების გაუქმება ან შეჩერება შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარიულ ექიმს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის მიერ საჩივრის განხილვისას გამოტანილი გადაწყვეტილება (თუ ის არ აკმაყოფილებს მომჩივანის ინტერესებს) შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

საჩივრის შეტანა საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტში ან სასამართლოში არ აჩერებს მიღებულ გადაწყვეტილებას ან მოქმედებას.

მუხლი 42. სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის თანამდებობის პირთა და სპეციალისტთა სამართლებრივი მდგომარეობა და მათი სოციალური დაცვა

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის თანამდებობის პირები და სპეციალისტები სახელმწიფო მართვის ორგანოების წარმომადგენლები არიან და მათ იცავს სახელმწიფო.

თავიანთ საქმიანობას ისინი წარმართავენ დამოუკიდებლად, ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის კანონით, გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ კავშირგაბმულობის საშუალებების, სარკინიგზო, საჰაერო, საწყლოსნო, საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებისას.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული სამსახურის თანამდებობის პირებსა და სპეციალისტებზე სანიტარიული ზედამხედველობის განხორციელებისა და გადაწყვეტილებების გამოტანის დროს აკრძალულია ზემოქმედების ყოველგვარი ფორმა. თანამდებობის პირები და მოქალაქეები, რომელთა მხრიდანაც აღინიშნება ზემოაღნიშნული ქმედება, ისჯებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 43. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების თანამშრომლობა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს დაწესებულებები, ორგანიზაციები და უწყებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ თანამშრომლობას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, დაავადებების პროფილაქტიკის, მოსახლეობის სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის განმტკიცების მიზნით.

კარი VIII

საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა, ხელშეკრულებები და შეთანხმებები

მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კეთილდღეობის მიზნით საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა

საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობა ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს, საერთაშორისო სანიტარიული აქტებისა და ნორმატივების საფუძველზე.

საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკისა და უცხოეთის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობებით.

მუხლი 45. საერთაშორისო ხელშეკრულებები

სანიტარიულ-ჰიგიენური კეთილდღეობის დაცვის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, მათი მოქმედების, შესრულებასა და გამოყენებაზე კონტროლის წესები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკისა და უცხოეთის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობით.

თუ საქართველოს რესპუბლიკის მიერ სხვა სახელმწიფოებთან დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებში აღნიშნულია საქართველოს რესპუბლიკის სანიტარიული კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესები, ისინი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდება იმ მოცულობით, რომელიც გამორიცხავს მოსახლეობის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის ზიანის მიყენებას.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარიული ექიმის დანიშვნა და სათანადო სტრუქტურის შექმნა სანიტარიული კანონმდებლობის შემუშავების პირველი ეტაპია, მეორე უახლოესი ეტაპი უნდა იყოს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის შესახებ კანონის მიღება.

უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიასთან ერთად კანონზე მუშაობაში მონაწილეობდნენ პროფ. თ. კერესელიძე, პროფ. გ. კაციტაძე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ა. მინდორაშვილი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი პ. იმნაძე.

შენიშვნები და წინადადებები გამოგზავნეთ უზენაესი საბჭოს მისამართით.

ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის კომისია.

„მე ჯავახეთს რა მიჭირდა...“

(დასასრული)

რი კვლევის ინსტიტუტის მიმართვას ჯავახეთიდან წამოსული ქართველებისადმი; იმედი გვაქვს, გამოგვეხმაურებიან, ვისაც გული ერჩის, ვისთვისაც კუმურდო და ვარძია, თავფარავნელი ჭაბუკი, კალმახი და ქერის პური მარტო წარსული დიდების მოსაგონარი სიტყვის მასალა არაა.

მეორე. ღმერთმა ნუ გამოგვილიოს გულმხურვალე ქართველები აჭარაში, სვანეთში, თბილისში, ქუთაისში, საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში; ღმერთმა დაგვიფაროს, რამდენიმე ასეული ქართველი არ აღმოჩნდეს, რომლებიც ჯავახეთში გადაწყვეტენ დასახლებას, აქედან მეტშვილებიან სრულიად საქართველოს.

მანამდე კი, სანამ გამოჩნდებოდნენ, მოდით ჯერ იმათ მივხედოთ, ვინც უკვე გამოჩნდა და შემწეობას ელის. აქ კატეგორიულად მინდა გავიმეორო ადრე უკვე ნათქვამი — საქართველოს რაც უნდა უჭირდეს, რაც უნდა მიწისძვრები და ზვავები დაატყდეს თავს, არ შეიძლება ჯავახეთში ახალმშენებლობათა შეჩერება, თანაც ყველაფერი დიდი გულით და ნამუსიანად უნდა გაკეთდეს. აქ საკითხი მარტივად ისმის — თუკი შევძლებთ ამას, თანაც გადაუდებლად, თუ ცხოვრების ელემენტარულ პირობებს უზრუნველვყოფთ, აჭარლები დამკვიდრდებიან ჯავახეთში თუ ჯავახებსაც მივხედავთ, მათი სახლებიდანაც მუდმივად ამოვა კვამლი, წასულთა ნაწილიც შეიძლება უკანვე დაბრუნდეს. ხოლო თუ ვერ შევძლებთ, კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ და, რასაც ვფიქრობ, პირდაპირ ვიტყვი, — ჩვენ უნდა ვაგოთ პასუხი შთამომავლობისა და ისტორიის წინაშე, რადგან არ გამოვიყენეთ ჯავახეთის — საქართველოს ღვიძლი შვილის გადარჩენის უკანასკნელი შანსი.

მესამე. კარგა ხანია დადგა დრო სათანადო სამინისტროებმა და უწყებებმა, სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა საქართველოს ყოველი რეგიონისთვის ღრმა მეცნიერულ საფუძველზე შეიმუშაონ მათი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის განმსაზღვრელი ძირითადი მაჩვენებლები და კრიტერიუმები პერსპექტიული თვალთახედვით. სხვა პრობლემების გადაწყვეტასთან ერთად ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ ყოველი რეგიონის დემოგრაფიული ტევადობა და მიზანმიმართულად წარვმართოთ მიგრაციული პროცესები.

მეოთხე. აუცილებელია კონკრეტული და კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობათა გასაფართოებლად, აქ უნდა აისახოს იჯარული ურთიერთობების გაფართოება, პრივატიზაცია, მეწარმეობის განვითარება, სამრეწველო საწარმოთა ფილიალების შექმნა, უნდა გაგრძელდეს გოგაშენში ბლოკების ქარხნის ფუნქციონირება, ადგილზევე დამუშავდეს პემზა, გონივრულად ამოქმედდეს ქვის სამტეხლოები, მოეწყოს თევზის სატბორე მეურნეობები, განვითარდეს მეფუტკრეობა, მინერალური წყლების ჩამოსხმა და ა. შ. საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებს და ხელი შეეწყოს ტრადიციული ხალხური რეწვის განვითარებას. სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულ ჯავახთა ორ მესამედსა და აჭარელთა თითქმის 80 პროცენტს ხალხური რეწვის ესა თუ ის სახე ემარჯვებათ, განსაკუთრებით წინდებისა და ჯემპრის ქსოვა, რთვა, ქარგვა, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვა, ხის ნაკეთობების დამზადება, ქვაზე მუშაობა და სხვა. მათი სამოცი პროცენტი მზადაა ხელი მოჰკიდოს ტრადიციულ ხალხურ რეწვას, თუკი იქნება ხელშემწყობი პირობები.

მეხუთე. აუცილებელია საბინაო პირობების, მიწის ნაკვეთის მიცემის, დასაქმებისა და სხვა ნებისმიერი თვალსაზრისით ჩამოსახლებულები და ჯავახები თანდათან ერთნაირ პირობებში იყვნენ, უნდა აღმოიფხვრას ურთიერთუნდობლობისა და უკმაყოფილების ყველა მიზეზი, მით უმეტეს, ისეთი კურიოზული ფაქტები, როცა სხვა რეგიონებიდან ჩამოსული მასწავლებლები, მათ შორის აჭარლებიც, ადგილობრივებთან შედარებით ორმაგ ხელფასს იღებენ. აღარაფერს ვამბობთ, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის წყლით, სათბობით, პირველი მოხმარების აუცილებელი საგნებით უზრუნველყოფას, ნორმალურ სამედიცინო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

მეექვსე. ახალი ცხოვრება სულ უფრო მეტად გამოაჩენს მდიდარ ორგანიზაციებს, საწარმოებს, პიროვნებებს. ისინი მხარში უნდა ამოუდგნენ მეტად რთული პრობლემების წინაშე მდგარ რესპუბლიკის ხელისუფლებას, თითებზე ჩამოსათვლელ ჯავახეთის ქართულ სოფლებს მათ საქმიანი დახმარება და სპონსორობა უნდა აღმოუჩინონ. ისიც სერიოზული საფიქრალია, როგორ მოძლიერდეს ჯავახეთის ქართული ინტელიგენცია. იქნებ მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა და სამეცნიერო დაწესებულებებმა თავიანთ ზოგიერთ სამსახურს აქ უპოვონ კეთილი ნიადაგი პროფესიული და პატრიოტული საქმიანობისათვის.

მეშვიდე. განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ პრობლემათა საკმაო ნაწილი ჩასახლებისა და მშენებლობის პროცესის მართვისა და ორგანიზაციის ნაკლოვანებებით უნდა აიხსნას. ადგილობრივ ხელისუფლებას, თუკი დღეს ასეთი არსებობს, ხელი აქვს დაბანილი, ხოლო ე. წ. შტაბი, რომელიც ფაქტობრივად ერთი კაცით — აჭარის მთავრობისადმი დაქვემდებარებული ბატონ არჩილ ქამადაძითაა წარმოდგენილი, მისი ენერგიულობისა და გულმხურვალების მიუხედავად, ბრძოლის ველზე ცალად დარჩენილი მეომრის შთაბეჭდილებას ტოვებს.

იგივე შეიძლება ითქვას საზოგადოებრივ ორგანიზაციებზეც, ახალქალაქის პირველი საშუალო სკოლის დირექტორზე ბატონ სოსო თეთვაძეზე და მის თავდადებულ მეგობრებზე. რა ქნან? თავს ზემოთ ძალა არაა, „ზემოდან“ კი არ ჩანს ნაღდი, საქმიანი, კონკრეტული დახმარება და გულისტკივილი. ამით მე ოდნავადაც არ ვაკნინებ მათ უდაო ღვაწლს.

ძალზე ძნელი აღმოჩნდა არსებული რეალური სიტუაციის ამსახველი მეტნაკლებად სრულყოფილი მასალის მოპოვებაც კი. აღარაფერს ვამბობ მთელი ამ მამულიშვილური საქმიანობის სისტემატურ კოორდინაციასა და კონტროლზე, პრობლემების არა სპონტანურად, არამედ კომპლექსურად გადაწყვეტაზე. ვფიქრობ, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში ორ-სამ კაციანი ჯგუფი მაინც უნდა მუშაობდეს მარტო ჯავახეთის ან თუნდაც სამცხე-ჯავახეთის პრობლემებზე, რომლებიც ყოველდღიურად ყველაფრის საქმის კურსში უნდა იყვნენ, ოპერატიულად უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მინისტრთა კაბინეტს, სხვა რესპუბლიკურ ორგანოებს, რომლებმაც ასევე ოპერატიულად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები. ამ პროცესების მართვის სისტემა ეფექტიანად რომ ფუნქციონირებდეს და ქმედითი უკუკავშირიც იქნეს უზრუნველყოფილი, აუცილებლად გვესახება თვით ჯავახეთში ე. წ. ჩასახლების შტაბის გაძლიერება. შტაბის მუშაკთა რიცხვი ოთხ-ხუთ კაცამდე მაინც უნდა გაიზარდოს, ხოლო ისინი უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უნდა დაექვემდებარონ, როგორც რეგიონში მათი საგანგებო წარმომადგენლები.

და რაც მთავარია — ყველამ ერთგულად, პატიოსნად, უხმაუროდ, უამბიციოდ, შურისა და ბოღმის გარეშე, სიყვარულითა და ღვთისნიერად უნდა აკეთოს თავისი საქმე, ვისაც რა ხელეწიფება. საქართველოს იმდენი ტკივილი აქვს მოსაშუშებელი, რომ ჩვენ ყველანი ვეერდებით მას, ყველას გვერგება თითო აგური მაინც მის საკურთხეველზე მისატანად.

ოღონდ კი საქართველო და ერთმანეთი მართლა გვიყვარდეს!

ვაჟა გურგენიძე,
დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

მიმართვა

ჯავახეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებში გადასახლებულ ქართველებს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი სწავლობს ჯავახეთში დემოგრაფიული ვითარებისა და იქ ქართული სოფლების აღორძინების პრობლემებს. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ეროვნულ საქმეში უპირველესი და გადამწყვეტი სიტყვა თვით ჯავახებმა უნდა თქვან. ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ ძირძველი ქართული მიწის შვილები, რომლებიც დღეს საქართველოს სხვა რეგიონებში ცხოვრობთ, გამოგვეხმაურებით, მოგვწერთ ან ტელეფონით მაინც შეგვატყობინებთ იმას, თუ ვინ და რა პირობებში დაუბრუნდებოდით ადგილის დედას, მშობლიურ კუთხეს.

ამასთან, აუცილებლად მიუთითეთ ჯავახეთის რომელი სოფლიდან ხართ, თქვენი პროფესია, თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ასაკი, რომლებსაც სურთ ჯავახეთში დაბრუნება და ის კონკრეტული პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც დაუბრუნდებოდით მშობლიურ მხარეს. მიუთითეთ, აგრეთვე თქვენი დღევანდელი ზუსტი მისამართი და ტელეფონის ნომერი.

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ.

ჩვენი მისამართია: თბილისი, გრიგოლ ქიქოძის (ყოფილი მახარაძის) ქ. 14, ტელეფონი: 99-67-25. დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი.

ერთი ციტატისა და ებრაელობისადმი მიცემული დავალების თაობაზე

15 ოქტომბერს „საქართველოს რესპუბლიკის“ სტატიაში „მსოფლიო ინტეგრაციული პროცესი ქრისტიანული ესქატოლოგიის შუქზე“ — გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრების გამო 29 ოქტომბერს იმავე გაზეთში გ. გაბაშვილმა გააკეთა „აუცილებელი განმარტება“, რომელშიც აღნიშნა, რომ არ გახლავთ ანტისემიტი.

ეს ყველასათვის ერთობ სასიამოვნო განცხადებაა. ძალიან კარგია, რომ გ. გაბაშვილი არ ეწინააღმდეგება ქართველი ერისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის ისტორიულ გზას, სულს არ იმძიმებს ისეთი საშინელი სენით, როგორიცაა ანტისემიტიზმი. მე მაინც მოსვენებას არ მაძლევს მისი სტატიის ერთი პასაჟი, უფრო სწორად, მის სტატიაში მოყვანილი ერთი ციტატა, რომლითაც ციტატის ინსინუაციის ავტორს სურს დაამტკიცოს ებრაელთა კაცთმოძულეობა. მართალია, გ. გაბაშვილი ანტისემიტი არ არის, მაგრამ ის პასაჟი პასუხგაუცემელია და მე ეს მაწუხებს.

გ. გაბაშვილი წერს: „ამ რამდენიმე წლის წინ ისრაელში გამოიცა ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ჰერმან ბრანოვერის წიგნი — „დაბრუნება“, რომელშიც წერია: „ისრაელის სახელოვანი შვილები ტროცკი, სვერდლოვი, როზა ლუქსემბურგი, მარტოვი, ვოლოდარსკი, ლიტვინოვი... ისრაელის ისტორიაში შევიდნენ. შეიძლება რომელიმემ ჩემს ძმათაგან მკითხოს: კი, მაგრამ, რა გააკეთეს მათ ისრაელისთვის? მე ვუპასუხებ პირდაპირ: ისინი უშუალოდ ახდა არაპირდაპირი გზით, ცდილობდნენ ჩვენი უდიდესი მტრების — მართლმადიდებელი გოიების ფიზიკურ მოსპობას. აი, რაში მდგომარეობდა მათი საქმე; ამით დაიმსახურეს მათ მარადიული დიდება!“ აღსანიშნავია, რომ ლევ ტროცკის (ლეიბა ბრონშტეინის) ზეობაში, მისი უშუალო ბრძანებით, ქ. ვორონეჟში დაიდგა იუდა ისკარიოტელის ძეგლი“.

ამ პასაჟმა ჩემზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა და მყისვე გამიელვა აზრმა, რომ ეს დემაგოგიაა ებრაელი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ დემაგოგიის ავტორად მივიჩნიე არა გ. გაბაშვილი, არამედ ჰ. ბრანოვერი.

თუ ადამიანი დაინტერესდება, ბევრ რამეს გაიგებს, ზოგი რამ მეც გავიგე ამ ციტატის ირგვლივ და მინდა მკითხველის წინაშე ნათელი მოვფინო ერთ ავანტიურას.

ვინ არის ჰ. ბრანოვერი?

მეცნიერი, ფიზიკოსი, ისრაელს გამგზავრებამდე მუშაობდა ლატვიის მეცნიერებათა აკადემიაში. მორწმუნე კაცია და ისრაელს ეწადა გამგზავრება. საბჭოთა ხელისუფლება არ აძლევდა ამის უფლებას. 1973 წელს აისრულა ოცნება. ამ ხუთი-ექვსი თვის წინათ, თაისში, საბჭოთა და ისრაელელ მეცნიერთა შორის დაიდო ხელშეკრულება მზისა და ქარის ენერგიის გამოყენებისათვის ერთობლივი მუშაობის თაობაზე (ამ მხრივ ისრაელში დიდი გამოცდილება აქვთ და ჩვენი აკადემიის ამ მიმართულებით გარჯა საქართველოს რესპუბლიკასაც დიდად წაადგებოდა). ამ ხელშეკრულების დადების მოთავენი იყვნენ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გ. მარჩუკი და ისრაელელი პროფესორი ჰ. ბრანოვერი.

ეს რაც შეეხება ჰ. ბრანოვერის პიროვნებას. ახლა იმ წიგნისა და ციტატის თაობაზე, რომელიც გ. გაბაშვილს მოჰყავს. საიდან მოიტანა იგი გ. გაბაშვილმა და რამდენად სანდოა? რა მეთოდებით ებრძვიან ებრაელებს, როგორ ცდილობენ ხალხის ამხედრებას მათ წინააღმდეგ?

მოსკოვს გამომავალ „ევრეისკაია გაზეტაში“ (№ 15, 1991 წ. 20 აგვისტო) ამოვიკითხე ერთი სკანდალური ხასიათის მასალა. „ფალსიფიკატორები“ — ასე ჰქვია მას.

ქართულ სალიტერატურო წრეებში კარგად იციან, თუ რაგვარი ორიენტაციისაა ჟურნალი „ნაშ სოვრემენნიკი“. მას ახასიათებს შავრაზმული, ანტისემიტური მიმართულება. დღეს ეს ჟურნალი იდეოლოგიური საყრდენია რეაქციული რუსოფილური ორგანიზაციებისა. და აი, „ნაშ სოვრემენნიკის“ 1990 წლის მეთერთმეტე ნომერში ა. კაზინცევმა რუსი ხალხის მტრად წარმოადგინა პროფესორი ჰ. ბრანოვერი. ა. კაზინცევი სტატიას ამთავრებს ვითომდა ჰ. ბრანოვერის იმ ციტატით, რომელიც გ. გაბაშვილს მოჰყავს „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე და დასძენს: „არც კი გინდა დაიჯერო, რომ ასეთი ტექსტი დაიბეჭდა, არც ის გინდა დაიჯერო, რომ ეს სტრიქონები ეკუთვნის ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისრაელში სულ სხვაგვარად ესმით ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი — ბრანოვერს იქ სოლიდური მეცნიერის სახელი აქვს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში“.

თუ როგორ ესმის „ნაშ სოვრემენნიკს“ და მისი მთავარი რედაქტორის მოადგილეს ა. კაზინცევს ეროვნებათშორისი ურთიერთობანი, ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა დაბეჭდეს ასტაფიევის მოთხრობა „ციმორებზე თევზაობა საქართველოში“. მაგრამ „ევრეისკაია გაზეტაში“ მოთავსებული „ფალსიფიკატორების“ ავტორი გ. დაშევსკი იმასაც გვიდასტურებს, თუ როგორი მეთოდით მუშაობენ ამ რედაქციაში. აი, გ. დაშევსკის „ფალსიფიკატორების“ ერთი აბზაცი: „— გადავშალოთ ჰ. ბრანოვერის წიგნი „დაბრუნება“, რომელიც გამოცემულია 1977 წელს ნიუ-იორკში რუსულ ენაზე. 179-180-ე გვერდებზე ვკითხულობთ: „ჩემი ორივე თანამოსაუბრე (ლაპარაკია ბრანოვერის ნათესავებზე) ძალიან ამაყობდნენ ებრაელი ხალხის სიბრძნით, მაგრამ ამათთვის ამ სიბრძნის საზომი გახლდნენ არა იმდენად წინასწარმეტყველნი, ან თალმუდის შემქმნელნი... რამდენადაც ებრაული ეროვნების მეცნიერები, მწერლები, მუსიკოსები. ცალკე წარმოგიდგენდნენ რევოლუციონერთა და კომუნისტ ლიდერთა სიას: ტროცკი, სვერდლოვი, ურიცკი, კაუცკი, როზა ლუქსემბურგი, მარტოვი, მეხლისი, ვოლოდარსკი, კაგანოვიჩი, კამენევი, ზინოვიევი და სხვანი“.

ეს არის ის, რაც წერია ჰ. ბრანოვერის წიგნში. ცოტა ზემოთ კი თქვენ წაიკითხეთ ამ ციტატისგან რა „გამოჰყრა“, რა გამოიყვანა ა. კაზინცევმა. შეადარეთ ეს ორი ციტატა ერთმანეთს და თავად დარწმუნდებით, რაოდენ ბოროტი ფანტაზიის პატრონი ყოფილა „ნაშ სოვრემენნიკის“ რედაქტორის მოადგილე და ავტორი, შეადარეთ ეს ორი ციტატა ერთმანეთს და თავად დარწმუნდებით როგორ იღვწიან ისინი ეროვნებათშორისი ურთიერთობის სარბიელზე. გ. გაბაშვილი კი სარგებლობს იმ ჟურნალის პუბლიკაციით, რომელიც თვით რუსეთშია ცნობილი თავისი რეაქციული მიმართულებით. იგი წერს ინტეგრაციის პრობლემებზე, ებრძვის ინტეგრაციის მომხრეებს და თავად ელტვის ინტეგრაციას. იმასთან, ვინაც სწორედ ეროვნებათშორის ურთიერთობაში წყალს ამღვრევს.

ეს ფაქტი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ამიტომ მაინტერესებს ერთი რამ: როდესაც გ. გაბაშვილი ებრაელობის ღვაწლსა და როლზე მსჯელობს, რატომ ეყრდნობა ვინმე კაზინცევს და რატომ არ არიან მისთვის სანდონი ის ებრაელნი, რომელნიც მის ქალაქში, მის გვერდით იღვწიან, ის ადამიანები, რომლებთანაც მას თუნდაც შორეული ნაცნობობა აკავშირებს, და თუ მას არა, მის მეგობრებს მაინც!

კიდევ კარგი, რომ გ. გაბაშვილს ა. კაზინცევის ფალსიფიკაციის გაგრძელება არ ჩაუვარდა ხელთ (გაზეთ „ისტოკში“ — № 3 1991 წელი — ზემოთხსენებულ კომუნისტ ლიდერთა სიას კიდევ ორი გვარი დაემატა თურმე: იაგოდა და ბერია), თორემ ლ. ბერიასაც იმ ებრაელად გამოიყვანდა, რომელიც ასე დაუნდობლად ხოცავდა არაებრაელთ, რუსებს.

რაც შეეხება გ. გაბაშვილის ცნობას იმის თაობაზე, რომ ტროცკის განკარგულებით ვორონეჟში დაიდგა იუდა ისკარიოტელის ძეგლი, ჩემთვის იუმორისტულ პასაჟად რჩება. რამდენჯერაც უნდა გაგვახსენოს გ. გაბაშვილმა ამ კაცის გვარი ტროცკი კი არა, ლეიბა ბრონშტეინი იყო და ამით ჩაგვძახოს თხემით ტერფამდე ებრაელიაო, არაფერი გამოვა. ტროცკი, უწინარესად, ბოლშევიკური მოძრაობის პროდუქტი იყო, ისევე, როგორ ი. ბ. სტალინი. ბოლშევიკებს კი არა თუ სარწმუნოების, ეროვნულისადმი ერთგულებაც არ ახასიათებდათ. ცნობილია, რომ ისინი არაფ დაგიდევდნენ ეროვნულობას და იდეოლოგიური რწმენა გამოჰქონდათ წინა პლანზე. თორემ კაცი, რომელიც ვორონეჟში (საოცარია, რატომ მაინცდამაინც ვორონეჟში, იქ მაინც დაედგა, სადაც ებრაელები ბლომად ცხოვრობდნენ!) იუდას ძეგლს უდგამს, სამშობლოდან ექსორიაქმნილი სამხრეთ ამერიკაში კი არ დალევდა სულს, არამედ აგერ, სულ ახლოს, აღთქმულ მიწაზე. ასეთი ძლიერი იუდეველი იუდეველთა მიწაში უნდა დამარხულიყო.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტროცკი სტალინისებური, და უფრო მტკიცე კი, ბოლშევიკი იყო, ხოლო სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა წიგნში „ოცი წერილი მეგობარს“. წერს, რომ მამამისს სძულდა ყველაფერი ქართული, იგი თხემით ტერფამდე რუსი იყო.

ასე უყვარდათ მათ თავ-თავიანთი წარმომავლობა.

გ. გაბაშვილი თავის 29 ოქტომბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილ „აუცილებელ განმარტებას“ ამგვარი მოწოდებით ამთავრებს:

„ვსარგებლობ შემთხვევით და მოვუწოდებ საქართველოში მცხოვრებ ებრაულ თემსა და მათ საქართველოდან ისრაელში ემიგრირებულ ნათესავებს, მოახდინონ ძლიერი დაწოლა შამირის მთავრობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით, რათა არ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველოდან ემიგრირებული ებრაელების სიყვარული ოდენ ქართულ ყოფით კულტურაზე ვრცელდება და — არა ქართველ ერზე“.

ამ აბზაცმა არანაკლებ გამაოგნა, ვიდრე ბრანოვერის ციტატის კაზინცევისეულმა რედაქციამ. მერე კი ასეთი ფიქრი ამეკვიატა:

ამ ერთი თვის წინათ ისრაელის პრესაში რომ გამოჩენილიყო ასეთი განცხადება: ქართველო ებრაელნო, თუ თქვენი ებრაელობა არის ჭეშმარიტი, მოახდინეთ ძლიერი ზეგავლენა გორბაჩოვის მთავრობაზე, რომ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა ჩვენს სახელმწიფოსთანო, რა რეაქცია გვექნებოდა? ალბათ, გაგვეღიმებოდა. ასევე უნდა გავიღიმოთ ახლაც, მაგრამ ჩვენი ისტორიული მეხსიერება, სამშობლოსთან ჩვენი დამოკიდებულების სიწმინდე სათუო, საგამოცდო სასწორზე შეაგდო არა უცხო ქვეყნის კაცმა, არამედ იმან, რომლის გვერდითაც მე მიცხოვრია. ამიტომ ღიმილი პირზე მაშრება. გაბაშვილი დღეს სთხოვს ერთგულებისა და სიყვარულის გამოცდის ჩაბარებას ქართულ ებრაულ თემს. ჩემი ვარაუდით კი ქართველმა ებრაელობამ ეს გამოცდა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდელ პერიოდში ჩააბარა, ვარაუდი-მეთქი ვამბობ იმდენად, რამდენადაც ვეჭვობ ებრაელობის წინაშე ასე დაეყენებინოთ საკითხი: თუ არ გსურთ შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ თქვენი სიყვარული ოდენ ქართულ ყოფით კულტურაზე ვრცელდება და არა ქართველ ერზე, ასე და ასე მოიქეცითო.

გ. გაბაშვილი ისე დაუფიქრებლად გადაუტლაშუნებს მათრახს ერის ღირსებას, რომ არც კი უფიქრდება, რაოდენ სათუთ თემას ეხება. ნუთუ, მართლა ჰგონია, რომ შეიძლება გიყვარდეს ერის ყოფითი კულტურა (!) და არარად მიგაჩნდეს ერი? გ. გაბაშვილი რომ უფრო თვითკრიტიკულად მოჰკიდებოდა თავის ამ განცხადებას, ალბათ, მიხვდებოდა: უზრდელია ადამიანმა ასეთი დავალება მისცეს ერს. **ის ერი 26 საუკუნეა ამ მიწა-წყალზე ცხოვრობს და ჟამთა აღმწერელმა არ შემოგვინახა თუნდაც ერთი ფაქტი იმისა, რომ ებრაელობას ამ მიწა-წყლის, ამ ხალხის ღალატი ჩაედოს გულში.** ქართველი ებრაელობა სათუთად ინახავდა თავის რწმენას და მუდამ საქართველოს ინტერესებით ცხოვრობდა.

გურამ ბათიაშვილი

შევარდნაძის პენიტენციარული სისტემა საქართველოში

მაშ ასე, ორ წელზე მეტი წინასწარი გამოძიების მთელი პერიოდის მანძილზე (1970 წლის 30 მარტიდან 1972 წლის 11 მაისამდე), რათა ვეიძულებინე მიმეცა ყალბი ჩვენებები, გამომძიებლები აბუჩად მიგდებდნენ, უწმაწური სიტყვებით იხსენიებდნენ ჩემს ოჯახსა და შვილებს, ყოველნაირად ცდილობდნენ წავჩხუბებოდი ოჯახს (და ამას მიაღწიეს კიდეც). მცემდნენ, მაწამებდნენ, მემუქრებოდნენ, მეუბნებოდნენ: „ჭკუიდან შეგშლით", „მივცემთ სასამართლოს მითითებას, რომ მოგისაჯოს დახვრეტა ან 15 წლით თავისუფლების აღკვეთა" და ა. შ.

ცდილობდნენ წამებით, ცემით, ნერვიულობით, ინსცენირებებით და დასხივებით ჭკუიდან შევეშალე.

იყენებდნენ გამოძიების ჯოჯოხეთურ (რბილად რომ ვთქვათ, ბარბაროსულ) მეთოდებს, რომლებიც იწვევდა უძილობას, აუტანელ თავის ტკივილს, ორგანიზმის ნერვული მოქმედების მოშლას, მხედველობის, გონებრივ დაქვეითებას და ორგანიზმის გამოფიტვას. მთელ ამ ბარბაროსობათა შესახებ 1970 წლის 15 ივნისს, 23 ივნისს, 3 ივლისსა და 16 სექტემბერს წერილობითი საჩივრებით მივმართე საქართველოს სსრ პროკურორს (გთხოვთ ნახოთ საჩივრები — ტომი 135, საქმის ფურცელი 64-66, 105 და 115). აგრეთვე 1971 წლის 10 ოქტომბერს, 25 ოქტომბერსა და 9 ნოემბერს წინასწარი გამოძიების პროცესში და 1972 წლის 10 აპრილს სასამართლო პროცესის დაწყებამდე ერთი თვით ადრე წერილობითი საჩივრებით მივმართე სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს (გთხოვთ ნახოთ 1971 წლის 10 ოქტომბრის საჩივარი — ტომი 135, საქმის ფურცელი 128-131, ხოლო მომდევნო — 1971 წლის 25 ოქტომბრისა და 9 ნოემბრის და 1972 წლის 10 აპრილის სამი საჩივარი ჩაკერებული არ არის სისხლის სამართლის საქმეში — დამალეს).,

ჩემს საჩივრებს საქართველოს სსრ პროკურატურისა და სსრ კავშირის პროკურატურის არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

საქართველოს სსრ კანონის — სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსის 219, 120 და 221 მუხლების თანახმად, პროკურორმა მიღებული საჩივარი უნდა განიხილოს და სამი დღე-ღამის განმავლობაში აცნობოს განმცხადებელს განხილვის შედეგები.

ისმის კითხვა: რით იყო გამოწვეული კანონის დარღვევა, რომელიც გამოიხატა საქართველოს სსრ პროკურატურისა და სსრ კავშირის პროკურატურის უმოქმედობით? ამრიგად, ფულის ჩამორთმევის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საშინელი დარღვევების დამალვის და უდანაშაულო მოქალაქეებთან ანგარიშსწორების მიზნით შეგნებულად და წინასწარგანზრახულად დაარღვიეს კანონი კანონების ზუსტი შესრულებისადმი ზედამხედველობის ორგანოს წარმომადგენლებმა.

III. № 19 სისხლის სამართლის საქმის შეთხზვა

1972 წლის 22 მარტს გადმომცეს საბრალდებო დასკვნა შვიდ ტომად, 2000 ფურცელზე მეტი, ხოლო 1972 წლის 11 აპრილს გამომძახეს საპატიმროდან საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში და გამაცნეს ლაზიშვილის, ჰეიშვილის, მაცაბერიძისა და სხვათა — სულ 52 ბრალდებულის ბრალდების გამო №19 სისხლის სამართლის საქმის მასალები.

როცა გავეცანი №19 სისხლის სამართლის საქმის მასალებს, დავადგინე, რომ სისხლის სამართლის საქმე დაფუძნებულია გარიგებაზე, ცილისწამებაზე, პროვოკაციების სერიაზე, ოქმების ფიქციაზე, „ბრალდებულთა" ჩვენებების დამახინჯებასა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურის იმედზე, რომ განაჩენის გაუქმება შეუძლებელია, რადგან ფიზიკურად ძნელია სისხლის სამართლის საქმის 150 ტომის შემოწმება.

უსაფუძვლოდ არ ვიტყვი, მოვიყვან ფაქტებს:

1. ჩემი დაპატიმრების მეორე დღეზე, ესე იგი 1971 წლის 23 ნოემბერს, მომიხსნეს წინათ წაყენებული გამოგონილი ბრალდება „ყალბი ფულისმკეთებლობა", „თაღლითობა" და „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება" — დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88; III ნაწილის 17-93 და II ნაწილის 186 მუხლებით (გთხოვთ ნახოთ დადგენილება — ტომი 136, საქმის ფურცელი 326-328). ხოლო წინა დღეს, ესე იგი 1971 წლის 22 ნოემბერს აგრეთვე დაუსწრებლად წამომიყენეს ახალი შეთხზული ბრალდებანი — „სახელმწიფო ქონების დატაცება", „უხარისხო პროდუქციის გამოშვება", „დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების შეძენა ან გასაღება", „სამსახურებრივი გაყალბება" და „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება" — დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 96¹; 188; II ნაწილის 229; II ნაწილის 191 და 186 მუხლებით (გთხოვთ ნახოთ ტომი 1, საქმის ფურცელი 265 — 326). ამ შემთხვევაში „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გათვალისწინებულია არა წინათ წაყენებული მოგონილი (მოხსნილი) ბრალდებით, თითქოს მომეხდინოს 4 ტონა დიბუტილფტალატის უსაქონლო ოპერაცია.

2. ორი წლის წინასწარი „გამოძიების" შემდეგ, იმისათვის, რომ შეექმნათ საზოგადოებრივი აზრი დიდი დატაცების შესახებ, დაემალათ პროვოკაციები, კანონის — სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევანი, არეულ-დარეულობა შეეტანათ და ფიზიკურად გაეძნელებინათ სისხლის სამართლის საქმის 150 ტომის შესწავლა-შემოწმება, გამომძიებლებმა გააერთიანეს ქვემოთ მოყვანილი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა ერთმანეთთან:

სისხლის სამართლის საქმე: „ყალბი ლატარიის ბილეთის შესახებ";

სისხლის სამართლის საქმე: „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს გარდაბნის რაიმრეწვკომბინატში დატაცების შესახებ";

სისხლის სამართლის საქმე: „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კასპის რაიმრეწვკომბინატში დატაცების შესახებ";

სისხლის სამართლის საქმე: „საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო ბიუროში დატაცების შესახებ";

სისხლის სამართლის საქმე: „საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გარდაბნის სამშენებლო უბანზე დატაცების შესახებ".

ამ საქმეთა გაერთიანებასთან ერთად, ჭეშმარიტების დამალვისა და არეულ-დარეულობის (უწესრიგობის) ხელოვნური შეტანის მიზნით, სავაჭრო მაღაზიების თანამშრომელთა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც უშუალოდ გადიოდნენ ამ სისხლის სამართლის საქმეებში, გამოყვეს, ისინი გამოიძახეს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან, დააპატიმრეს და საქართველოს სსრ სხვადასხვა რაიონში მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა მოცემული კვალიფიკაციით. საქმის სიცხადისა და სისრულისათვის ისინი (6 ბრალდებული) უნდა გაესამართლებინათ სამრეწველო საწარმოთა მხილებულ პირებთან ერთად, მაგრამ ბრალდებათა შეკოწიწების დამალვის მიზნით ისინი გაასამართლეს მალულად და უკანონოდ.

ასევე შეთხზული ბრალდებების გაყალბებისა და ჭეშმარიტების დამალვის მიზნით გამოყვეს აღნიშნული ფაბრიკის ჩემთან ერთად ცილდაწამებული თანამშრომლების — კანტერის, ბუზიაშვილის, აჯიაშვილის, განგიას, ვოსკობოინიკოვის, ლეზგიშვილისა და ფარლაღაშვილის სისხლის სამართლის საქმეები იმ მიზეზით, თითქოს მათი დაკითხვა არ მოხდარიყოს (გთხოვთ ნახოთ საბრალდებო დასკვნის რუსული ტექსტი — ტომი I, საქმის ფურცელი 210-211).

სინამდვილეში ყველა ისინი დაკითხული არიან, მაგრამ მათი დაკითხვის ოქმები დამალულია (ამ საკითხზე დეტალები გთხოვთ ნახოთ ამ საჩივრის მესამე თავში: „პაპიაშვილისა და განგიას დალუპვის შესახებ", „ტარონიშვილის მხრივ მუშა კანტერის გათქმა" და „ნასხლეტაშვილის მხრივ აღნიშნული ფაბრიკის ყოფილი მუშის ბუზიაშვილის გათქმა".).

3. უხეშად დარღვეულია საქართველოს სსრ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსის 134 მუხლი.

სანქციები „ბრალდებულთა" პატიმრობაში ყოფნის შესახებ 1970 წლიდან 30 მარტიდან 1971 წლის 31 დეკემბრამდე (გთხოვთ ნახოთ სანქციები — ტომი 69, საქმის ფურცელი 1-6, 14-37, 114 და 174), ხოლო 1972 წლის 1 იანვრიდან სასამართლოში საქმის გაგზავნამდე, ესე იგი 1972 წლის 15 მარტამდე „ბრალდებულნი" ჰყავდათ პატიმრობაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სანქციის გარეშე.

4. ჩვენებათა ფიქციები და განზრახ დამახინჯებანი:

ა. თბილისის სინთეზური ნაწარმის ფაბრიკის №4 საამქროს ყოფილი ოსტატის, ამჟამად მსჯავრდადებული სერგი დავითის ძე არუთინოვის ჩვენებანი განზრახ დაამახინჯა გამომძიებელმა გვარამიამ:

ნაცვლად სიტყვებისა: „მე არ მიმიცია და არ გამიგონია, რომ ვინმე აძლევდა ფულს მთავარ ინჟინერს მაცაბერიძეს", პირზე წაყენების ოქმში ჩაწერილია — დამახინჯებულია ასე: „მე არ მიმიცია ფული ფაბრიკის მთავარი ინჟინრის მაცაბერიძისათვის, მას ფულს აძლევდა №4 საამქროს ოსტატი ტატალიანი, რადგან, როცა ვკითხეთ ტატალიანს, მისცა თუ არა ფული მთავარ ინჟინერს მაცაბერიძეს, მან გვიპასუხა: „მივეცი" (გთხოვთ ნახოთ პირზე წაყენების ოქმი — ტომი 1, საქმის ფურცელი 139-141). ამ საკითხზე გთხოვთ ნახოთ ს. დ. არუთინოვის განცხადებანი სასამართლო სხდომაზე, ამ საჩივრის მეოთხე თავში: „სსრ კავშირის პროკურატურის მეექვსე მოსაზრების უარყოფა".

ბ. 1970 წლის 1 აპრილის ჩემი ჩვენების განზრახ დამახინჯება.

მე დამკითხა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ კოვალჩუკმა რუსულ ენაზე, ჩანაწერს და ოქმს აწარმოებდა გამომძიებელი ნაჭყებია. გამოძიებას განვუცხადე: 1962 წელს თუ 1963 წლის დამდეგს მამაჩემის დანატოვარი ძვირფასეულობა მივყიდე დავით იაკობაშვილს 50 ათას მანეთად." ხოლო გამომძიებელ ნაჭყებიას რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნის დროს, თურმე, დაკითხვის ოქმში ჩაუწერია, ესე იგი დაუმახინჯებია, ჩემი ჩვენება ასე: „დავით იაკობაშვილმა მომიტანა 50 ათასი მანეთი შესანახად" და ა. შ. მე მივენდე გამომძიებელს, რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმანი არ წამიკითხავს და ხელი მოვაწერე დაკითხვის ოქმს ქართულ ენაზე (გთხოვთ ნახოთ — ტომი 1, საქმის ფურცელი 24-29).

5. ოქმების, დადგენილებების ფიქციები და ფაქტების დამახინჯებანი:

ა. გამომძიებელმა ნაჭყებიამ დამალა და არ გამაცნო 1970 წლის 2 აპრილის დადგენილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომელიც სანქციას აძლევდა ჩემს დაპატიმრებას „ყალბი ფულისმკეთებლობის" ეჭვით — დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88 მუხლით. დადგენილების ბოლოს გამომძიებელ ნაჭყებიას გაკეთებული აქვს შენიშვნა: „ეჭვმიტანილმა მაცაბერიძემ უარი თქვა გაცნობასა და ხელმოწერაზე" (გთხოვთ ნახოთ დადგენილება — ტომი 1, საქმის ფურცელი 37). დადგენილება ჩემთვის არავის არ გაუცვნია და არც შეეძლო გაეცნო, რადგან ამით ისინი ამხელდნენ საკუთარ თავს პროვოკაციის ჩადენაში.

ბ. 1971 წლის 22 ნოემბერს დაუსწრებლად წარმომიდგინეს საბრალდებო დადგენილება (გთხოვთ ნახოთ ტომი 1, საქმის ფურცელი 256-326), რომელიც იტყობინება წინასწარი გამოძიების დამთავრებას, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, ესე იგი 1971 წლის 29 ნოემბერს, აგრეთვე დაუსწრებლად წარმომიდგინეს ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა გამომძიებლის ყალბი შენიშვნით (გთხოვთ ნახოთ დადგენილება — ტომი 119, საქმის ფურცელი 130). რა შეიძლება ეწოდოს ქმედებას, როცა წინასწარი გამოძიების დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ ბრალდებულს დაუსწრებლად წარუდგენენ ექსპერტიზის დასკვნას გამომძიებლის ყალბი შენიშვნით: „ბრალდებულმა უარი თქვა გაცნობაზე?" განზრახ სიყალბე ხომ არ არის სისხლის სამართლის საქმის შეთხზვისათვის?

გ. მოვიყვან სისხლის სამართლის საქმის შემთხზველ გამომძიებელთა სულმდაბლობისა და ტენდენციურობის კიდევ ერთ თვალსაჩინო საზიზღარ ფაქტს:

1970 წლის 7 ივლისიდან 11 სექტემბრამდე ვიმყოფებოდი მოსკოვის (ბუტირკის) საპატიმროში სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის მოლოდინში, ხოლო ამ დროს თბილისში გამომძიებლები თხზავდნენ ჩემზე სისხლის სამართლის საქმის მასალებს. მაგალითად, მოსკოვის საპატიმროში ჩემი ყოფნის პერიოდში, 1970 წლის 16 ივლისს ქალაქ თბილისში შეთხზეს სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ბრალდებულისათვის დადგენილების გამოცხადების ოქმი, რომელშიც აღნიშნულია: „ბრალდებულმა მაცაბერიძემ უარი თქვა გაცნობასა და ხელმოწერაზე" (გთხოვთ ნახოთ ტომი 70, საქმის ფურცელი 134). როგორ ვიტყოდი უარს ქალაქ თბილისში გაცნობასა და ხელმოწერაზე, როცა 1970 წლის 16 ივლისს ვიმყოფებოდი მოსკოვის საპატიმროში? რაც სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტების პირდაპირი შეთხზვის სხვა ფაქტებიც (ტომი 70, საქმის ფურცელი 171, ტომი 119, საქმის ფურცელი 130 და სხვ.). გამომძიებლები სისხლის სამართლის შეთხზულ მასალებს არ მაცნობდნენ, მალავდნენ და ამ დოკუმენტების ბოლოს წერდნენ შენიშვნას, თითქოს უარს ვამბობდი გაცნობასა და ხელმოწერაზე.

დ. აგრეთვე განზრახ წინასწარგანზრახულად დამახინჯებულია ფაქტები. აღკვეთის ღონისძიების არჩევის შესახებ 1970 წლის 2 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია: „ეჭვმიტანილმა მაცაბერიძემ გააკეთა ყალბი ლატარიის ბილეთი და 1970 წლის იანვარში წარუდგინა შემნახველ სალაროს და მოითხოვა მოგება" (გთხოვთ ნახოთ ტომი 1, საქმის ფურცელი 37). ხოლო 1970 წლის 16 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია: „ბრალდებულმა მაცაბერიძემ იცოდა, რომ ლატარიის ბილეთი ყალბია და 1970 წლის 25 თებერვალს წარუდგინა შემნახველ სალაროს და მოითხოვა მოგება" (გთხოვთ ნახოთ ტომი 1, საქმის ფურცელი 113-114), ხოლო 1971 წლის 23 ნოემბრის დადგენილებაში ნათქვამია: „ბრალდებულმა მაცაბერიძემ არ იცოდა, რომ ლატარიის ბილეთი ყალბია, ამიტომ ბრალდება ამ ნაწილში მოეხსნას" (გთხოვთ ნახოთ ტომი 136, საქმის ფურცელი 326-328)..

ამრიგად, პირველ დადგენილებაში შეთხზულია ბრალდება, რომ მაცაბერიძემ გააკეთა ყალბი ლატარიის ბილეთი და 1970 წლის იანვარში წარუდგინა შემსალაროს. მეორე დადგენილებაში, პირველი დადგენილების შეთხზვიდან ორი კვირის შემდეგ, შეთხზულია ბრალდება: მაცაბერიძემ იცოდა, რომ ლატარიის ბილეთი ყალბია და 1970 წლის 25 თებერვალს წარუდგინა შემსალაროს.

ხოლო მესამე დადგენილებაში, „გამოძიების" ოცი თვის შემდეგ, აღნიშნავენ, რომ მაცაბერიძემ არ იცოდა, რომ ლატარიის ბილეთი ყალბია. ფაქტობრივად ლატარიის ბილეთი წარვადგინე 1969 წლის 25 დეკემბერს, და არა 1970 წლის იანვარში და თებერვალში. შემსალაროში ლატარიის ბილეთის წარდგენის თარიღის განზრახ არევისა და ბრალდების შეთხზვის მიზეზებია: დაემალათ ლატარიის ბილეთთან დაკავშირებული პროვოკაცია, გაემართლებინათ ჩემი უკანონო დაპატიმრება, დაემალათ ჩემი განცხადება ყალბი ბილეთის აღმოჩენის შესახებ და საკუთარი თავისთვის მიეწერათ — თითქოს მათ აღმოაჩინეს ყალბი ლატარიის ბილეთი და იწეოდნენ „გამოძიებას" ოც თვეს.

ე. ცილისწამება და სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ოქმების შეთხზვა, რაც ჩაიდინეს გამომძიებლებმა, რომლებმაც ამ საქმეში ჩააბეს შეგონებული უპატიოსნო ადვოკატები და დაშინებული და მოტყუებული ჩემი ოჯახის წევრები (გთხოვთ ნახოთ ტომი 135, საქმის ფურცელი 75-81, 97, 100, ტომი 136, საქ. 4-6. 95, 98-100 და ჩემს წერილობით ჩვენებაში და დასკვნით სიტყვაში სასამართლო სხდომაზე).

IV. სასამართლოს ტენდენციურობა და სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსის შეგნებული დარღვევანი

სასამართლო პროცესის დაწყების პირველი დღიდანვე და განაჩენის გამოტანამდე, ესე იგი 1972 წლის 1 მაისიდან 28 დეკემბრამდე, აშკარად იგრძნობოდა, რომ სასამართლოს კოლეგიას აქვს მითითება ზემოდან: შექმნას საზოგადოებრივი აზრი დიდი დატაცების შესახებ, შექმნას საერთო აზრი, რომ განსასჯელები ლაზიშვილი, მაცაბერიძე და სხვები გიჟები არიან ან ეწევიან ფსიქიკური დაავადების სიმულირებას და მათი ჩვენებები ბოდვაა, დამალონ კანონის დარღვევის ფაქტები და მსჯავრი დასდონ ყველა განსასჯელს მოცემული კვალიფიკაციით.

ზემოთ აღნიშნული განკარგულების შესასრულებლად სასამართლოს კოლეგია მალავდა პროვოკაციის, ცილისწამების, ხელის დადების ფაქტებს, მალავდა ცემის, წამების, მუქარისა და მოწმეებისა და „ბრალდებულების" დაპატიმრების ფაქტებს, ემუქრებოდა მოწმეებს დაპატიმრებით, არ განიხილავდა თხოვნა-შუამდგომლობებს და არ ახორციელებდა ღონისძიებებს იმ გამომძიებელთა წინააღმდეგ, რომლებმაც სცემეს და აწამეს მოწმეები და „ბრალდებულები".

არ ვილაპარაკებ უსაფუძვლოდ, მოვიყვან რამდენიმე ფაქტს:

1. 1972 წლის 20 აპრილს სისხლის სამართლის მასალების გაცნობის დროს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოში გამოცხადდა ადვოკატი ლეონიდე მიხეილის ძე დოროფეევი ქალაქ მოსკოვის ადვოკატთა კოლეგიიდან და შემომთავაზა თავისი სამსახური.

გამიკვირდა, მე ხომ არასოდეს არ მითხოვია ადვოკატის დაქირავება. მაგრამ გავითვალისწინე, რომ მოსამართლე დაჟინებით მოითხოვდა ადვოკატის დაქირავებას, აგრეთვე ის გარემოება, რომ დოროფეევი ქალაქ მოსკოვიდან არის და დამოუკიდებელია საქართველოს იურისპუდენციისაგან, იძულებული გავხდი დავთანხმებოდი დოროფეევის სამსახურს. ჩემი თანხმობის შემდეგ მივმართე ადვოკატს და ვუთხარი: „გთხოვთ მომისმინოთ სისხლის სამართლის საქმის არსის გამო". ადვოკატმა მიპასუხა: „ნუ ჩქარობთ, მე გავეცნობი სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რის შემდეგაც მოგისმენთ". ამის შემდეგ რამდენჯერმე შევახსენე ადვოკატს, მაგრამ იგი ყოველთვის გადადებდა ხოლმე საქმეს და ვერა და ვერ მომისმინა.

1972 წლის 11 მაისს დაიწყო სასამართლო გამოძიება, სასამართლოს დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ ადვოკატმა დოროფეევმა გასაცნობად გადმომცა შუამდგომლობა ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე ჩემი გაგზავნის შესახებ. გამიკვირდა და ვკითხე ადვოკატს: „თქვენც დაგიყოლიეს?". ადვოკატმა მიპასუხა: „საქმისათვის ასე აჯობებს". ადვოკატს პასუხად ვუთხარი: „თუ თქვენ აღძრავთ ამ შუამდგომლობას, მე უარს ვიტყვი თქვენს სამსახურზე". ამავე დროს ვთხოვე დაეწერა თხოვნა და შუამდგომლობა კანონის — სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კოდექსის ჩადენილ დარღვევათა შესახებ. ადვოკატმა მიპასუხა: „მე იურისტი გახლავართ და ამას ვერ ვიზამ — ვერ დავწერ კოლეგებზე". ამ პასუხით მივხვდი, რომ ადვოკატი დაიყოლიეს და ვიღაცამ დააინტერესა დამალოს კანონის უხეში დარღვევის ფაქტები. ამიტომ გადავწყვიტე უარი მეთქვა მის „დაცვაზე". 1972 წლის 26 ივნისს სასამართლოს სხდომაზე ზეპირად მივეცი ჩემი ჩვენებანი და წერილობით რუსულ ენაზე ჩემი ჩვენებანი თხოვნითა და შუამდგომლობითურთ ჩავაბარე სასამართლოს კოლეგიას. ჩემი თხოვნა-შუამდგომლობების 35 პუნქტიდან ერთ-ერთი იყო უარი დამცველზე.

სასამართლოს კოლეგიამ არ განიხილა ჩემი თხოვნა-შუამდგომლობანი.

1972 წლის 30 ივნისს, სასამართლოსათვის ჩვენებების მიცემის შემდეგ, ადვოკატმა დოროფეევმა შეიტანა შუამდგომლობა ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე ჩემი გაგზავნის შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე მეკითხება: „განსასჯელო მაცაბერიძე, რას იტყვით?". მე ვუპასუხე: „თანახმა ვარ წავიდე ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე იმ პირობით, თუ ჩემთან ერთად ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაგზავნით ადვოკატ დოროფეევსაც, და იქ გამოირკვევა, ჩვენ შორის ვინ არის — მე თუ ადვოკატი დოროფეევი — ფსიქიკურად დაავადებული".

ჩემი პასუხის შემდეგ სასამართლოს კოლეგია იძულებული გახდა უარი ეთქვა ადვოკატ დოროფეევის თხოვნაზე.

1972 წლის 3 ივლისს დამატებით ჩვენებებთან ერთად მეორედ შევიტანე თხოვნა დამცველზე უარის შესახებ. სასამართლოს კოლეგია ამჯერად იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა ჩემი თხოვნა.

2. სასამართლოს სხდომის პირველსავე დღეს სისხლის სამართლის საქმის გარჩევის შესახებ სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარის პასუხად სახელმწიფო ბრალმდებელი პროკურორი ჭელიძე გამოვიდა და მაშინვე თავს დამესხა. ეს იყო ტენდენციური და ცინიკური სიტყვები: „განსასჯელი მაცაბერიძე თბილისის ტერიტორიაზე არ ყოფილა და რა ხდებოდა ფაბრიკაში, არ იცოდა?"

პროკურორს სთხოვენ გამოთქვას აზრი: განიხილონ თუ არა სისხლის სამართლის საქმე? იგი კი უპასუხებს უადგილოდ, თავს ესხმის უდანაშაულოს. თუ პროკურორი გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს, მან უნდა იცოდეს, რომ ჩადენილია პროვოკაცია, უკანონოდ არის დაპატიმრებული მოქალაქე „ყალბი ფულისმკეთებლობის" ეჭვით, უდანაშაულოს უსაფუძვლოდ და ვადის დარღვევით აქვს წაყენებული „თაღლითობის" და „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების" ბრალდებანი.. გამოძიების მეორე თვეზე ეს მოგონილი ბრალდებანი მოხსნილია და მათ ნაცვლად დაუსწრებლად უდანაშაულოს წაყენებული აქვს ახალი შეთითხნილი ბრალდებანი. აგრეთვე უნდა იცოდეს, რომ მოქალაქეები პატიმრობაში ჰყავდათ უსანქციოდ, აგრეთვე უნდა იცოდეს, რომ არც ერთი საჩივარი არ განუხილავს პროკურატურას და ა. შ. სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელმაც ყველაფერი იცოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან, სასამართლო პროცესზე გამოსვლისას, პირველივე სიტყვებით თავს ესხმის უდანაშაულოს, რადგან არ იცის, რას გამოარკვევს სასამართლო ძიება, აშკარად ლაპარაკობს წინასწარ მიღებულ დავალებაზე: „ნებისმიერი გზით დაადანაშაულოს და მსჯავრი დასდოს მაცაბერიძეს".

3. 1972 წლის 6 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე მოწმემ ზემოთ აღნიშნული ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ციალა არჩილის ასულმა კუტიაშვილმა განაცხადა: „გარდა ხელფასისა, ფული არ მიმიღია, ხოლო გამომძიებლები მაიძულებდნენ ხელი მომეწერა დაკითხვის ოქმისათვის, თითქოსდა, ხელფასის გარდა, უწყისით ვიღებდი ხელზე ფულს ლაბადების შეკერვისათვის".

კუტიაშვილის ჩვენების შემდეგ მოსამართლე ემუქრება დაპატიმრებით: „არ გაპატიებ, ხუთი წლით ჩაგსვამ ციხეში". შემდეგ მოსამართლე ეკითხება, რამდენი წლისა ხარო. კუტიაშვილი უპასუხებს: „22 წლისა". მოწმის პასუხზე მოსამართლე ემუქრება და უბნება: „სწორედ კარგ ასაკში მოხვდებით ციხეში".

4. 1972 წლის 9 ოქტომბრის სასამართლო სხდომაზე მოწმემ, ზემოთ აღნიშნული ფაბრიკის მუშამ შალვა ივანეს ძე კურტეევმა განაცხადა: „გამომძიებელმა მცემა და მაიძულა მიმეცა ყალბი ჩვენებანი". მოსამართლე დაემუქრა: „სასამართლოში მიგცემ ყალბი ჩვენებებისათვის და საქმეს გადავცემ იმ გამომძიებელს, რომელსაც ცილს სწამებ". კურტეევმა უპასუხა: „გამომძიებელი ისევ გამლახავს და მაიძულებს მივცე ყალბი ჩვენებანი, მეშინია ცემისა".

5. სასამართლოს კოლეგიას არ განუხილავს ადვოკატ ბაქრაძის შუამდგომლობა კანონის — სისხლის სამართლებრივ-საპროცესო კოდექსის დარღვევის შესახებ. 1972 წლის 25 ოქტომბერს, ადვოკატ ბაქრაძის არყოფნის დროს, სასამართლო კოლეგიამ დაკითხა მოწმე გ. ი. ხაბელაშვილი. 1972 წლის 26 ოქტომბერს ადვოკატმა ბაქრაძემ მოითხოვა მოწმე ხაბელაშვილის განმეორებით დაკითხვა მისი თანდასწრებით. ამაზე შეეკამათა პროკურორი ჭელიძე და უხეში სიტყვებით მიმართა ადვოკატ ბაქრაძეს: „რაო, კუდი ხომ არ აგიწვა"? შეურაცხყოფილმა ადვოკატმა ნაწყენი ტონით უპასუხა პროკურორს: „პირუტყვი არა ვარ, რომ კუდი მქონდეს!".

6. აგრეთვე სასამართლოს კოლეგიას არ განუხილავს ჩემ მიერ შეტანილი თხოვნა-შუამდგომლობების ოცდაათი პუნქტი. მარტო ამის მიხედვით ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სასამართლოს კოლეგიას ფაქტობრივად არ განუხილავს სისხლის სამართლის საქმე, არამედ ფორმალურად მართავდა სხდომებს და ასრულებდა დავალებას: „რადაც უნდა დაგიჯდეთ ბრალი დასდეთ და მსჯავრი დაადეთ მაცაბერიძეს და სხვებს მოცემული კვალიფიკაციით". მით უმეტეს, რომ სასამართლო პროცესზე გამომჟღავნდა გამომძიებელთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი, რომლებიც გამოიხატა 82 მოწმისა და 13 „ბრალდებულის", ამჟამად მსჯავრდადებულების, ცემით, წამებით, დაპატიმრებით და აბუჩად აგდებით.

ნათქვამის დასამტკიცებლად ქვემოთ მოცემულია პროვოკაციული და შეთითხნილი ბრალდებების უარყოფა.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 202, 203, 206, 217-218.

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის

განცხადება

საქართველოს პროფკავშირული მოძრაობა, მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელობასთან შეხვედრიდან გამომდინარე, მხარს უჭერს იმ სტრუქტურულ ცვლილებებს (დარგობრივ-ტერიტორიული პრინციპით პროფკავშირების შექმნა-აღდგენას) და არჩეულ გზას, რომელიც დაისახა საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების ყრილობაზე არჩეულმა ახალმა ცენტრმა, რაც არ ეწინააღმდეგება თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის იდეას და პრინციპებს.

ის აგრეთვე პრინციპულად წინააღმდეგია დარგობრივი პროფკავშირების იმ სტრუქტურით აღდგენა-დაბრუნებისა, რომელიც 71 წლის განმავლობაში წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთის და კომუნისტური პარტიის უკანონოდ თავს მოხვეულ მოდელს და კომუნისტური მაფიის თავშესაფარს.

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა, მშრომელთა ერთიანობიდან გამომდინარე, წყვეტს ყოველგვარ საქმიანობას საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკურ ცენტრთან ერთად და იღებს აქტიურ მონაწილეობას საქართველოს პროფკავშირების ყრილობის დემოკრატიული წესით ჩასატარებლად, სადაც სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებებს და რეგიონებს, დარგების და პროფესიის ადამიანებს მიეცემათ საშუალება თვითონ განსაზღვრონ საქართველოს პროფკავშირების მომავალი საქმიანობა, სტრუქტურა და მიმართულებები.

საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობა მოუწოდებს საქართველოს ყველა მშრომელს თავიანთი უფლებების და ინტერესების დასაცავად აქტიურად ჩაებას ნამდვილი პროფკავშირების შექმნა-აღდგენის საქმიანობაში, საქართველოს პროფკავშირების ერთიანობის იდეის განსახორციელებლად.

პაატა ქურციკიძე,
საქართველოს თავისუფალი პროფკავშირული მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე.

5 ნოემბერი. 1991 წელი.

საკუთარ სახლში

ყაზბეგის რაიონის ამბები

გაიზარდა მოხევის პირადი ბიუჯეტი

ყაზბეგსა და მისი რაიონის სოფლებში მრავალ ოჯახს თავიანთ ეზოებში სათბურები აქვს. აქ მოჰყავთ კიტრი, პამიდორი, მწვანილი, ზოგიერთს სათბურში მარწყვიც დაურგავს, ყოლოც, ყვავილებიც და სხვა ძვირფასი მცენარეებიც. კერძო სათბურები თითოეულ ოჯახს წელიწადში საშუალოდ 10-15 ათას მანეთს და მეტ შემოსავალს აძლევს.

— ჩვენი საოჯახო ბიუჯეტი საკმაოდ გაიზარდა, — თქვა ადგილობრივმა მკვიდრმა მ. ჩქარეულმა. — ამის საშუალება მას შემდეგ მოგვეცა, რაც რესპუბლიკის სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. წყეულიმც იყოს კომუნისტური რეჟიმის წლები! გაგებედა და გეცადა სათბურის მოწყობა. პარტოკრატიის ერთგული მილიცია სულ ნაცარტუტად გვიქცევდა. ასეთი რამ ერთხელ და ორჯერ როდი ყოფილა. შეიძლებოდა გვეხმარა კომუნისტებზე ხალხური გამოთქმა, ავი ძაღლი არც თავად ჭამს და არც სხვას აჭმევსო. თუმცა, თავად კარგად შეექცეოდნენ...

მოხევის შემოსავლის ძირითადი წყარო ცხვარი იყო. ახლა ისწავლეს ეკონომიკა, სათბურებიც მოაწყვეს, ძროხა, თხა და ღორიც გაიჩინეს, ფრინველიც მოამრავლეს და ეზოში ხეხილის ბაღებიც გააშენეს — ყინვაგამძლე ჯიშები შემოიტანეს და ადგილობრივიც გამოიყვანეს.

ძნელია მეცხვარის გზა

სნოს კოლმეურნეობის სარქალზე ნოდარ ყამარაულზე ამბობენ: ცხვარში არ დაბადებულა, მაგრამ ცხვარში გაიზარდაო.

მეცხვარეობას ოდითგან მისდევდნენ მისი წინაპრები. პაპა, მამა და ბიძებიც ცხვარში ჩამობერდნენ და ოჯახისა და საგვარეულოს წინაშე ვალმოხდილი წავიდნენ ამ ქვეყნიდან.

ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო. მთელი თერგისა და არაგვის ხეობაში, ნოღაეთის ველზე თავისი საქმიანობით დიდად განთქმულია ნოდარი. მან სამოც წელს მიუკაკუნა, ოთხ ათეულ წელზე მეტია ცხვარში დადის... ვინ იცის, რამდენი გაჭირვება — დარი და ავდარი, ყინვა და ხორშაკი, შეურაცხყოფაც კი გადაუტანია...ეს უკანასკნელი სოციალიზმის თანმხლები მოვლენა იყო და ადამიანებს სულს უხუთავდა. რაც ნოდარ ყამარაულს მთასა და ბარში, მშობლიური სნოდან ნოღაეთში ფეხით უვლია, ალბათ, ეკვატორს ორჯერ შემოუვლიდა. იმის დათვლა კი უთუოდ ძნელია, რამდენი ცხვარ-ბატკანი ამრავლა, რამდენი ცენტნერი მატყლი და ხორცი, გუდის ყველი აწარმოვა. ამჟამად ბრიგადაში, რომლის წევრიც არის სახელოვანი სარქალი, ორი ათას სულზე მეტი ცხვარი ჰყავთ. წლეულს პროგნოზით ნავარაუდევზე ბევრად მეტი მიიღო ბატკანიც, ხორციც და მატყლიც. ახლა ცხვარი კარგად იზამთრებს. ნოდარ ყამარაულს ფარა იჯარით აბარია და ესეც წაახალისებს, რომ უკეთ მოუაროს ამ დოვლათს. შთამომავლობით მეცხვარემ შვილებიც აზიარა ამ საქმეს, ისინი ხშირად მიდიან ფარებთან, ეხმარებიან მამას.

ნეტავი შვილთა მრავალთა..

სიონელი მზალო და რომან წამალაიძეების ოჯახს მერვე სიხარული ესტუმრა — მერვე შვილი შეეძინა. ბავშვები ჯანსაღები და ლამაზები არიან, გაივლის დრო, დაფრთიანდებიან, საქართველოს ამერ-იმერს მოეფინებიან. ზოგი მასწავლებელი იქნება, ზოგი მეცხვარე, ზოგი ექიმი თუ ინჟინერი.,, ერთი კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ისინი ყველგან ასახელებენ მშობლიურ ხევს.

უკანასკნელ წლებში ხევში საკმაოდ გამრავლდა აკვნები. მრავალშვილიანი ოჯახი ახლა იშვიათობა როდია. საკმაოდ არიან ოჯახები, რომელთაც სამზე მეტი შვილი ჰყავთ. ბევრია 6-7-8 შვილიანიც, რამდენიმე ოჯახს 10 შვილიც კი ჰყავს. თუმცა, ჯერ მაინც შორსაა ის სანუკვარი დრო, როცა ხევში ყველა ოჯახი თითქმის მრავალსულიანი იყო.

პოლიკლინიკა ახალ შენობაში

სტეფანწმინდაში, როგორც ისტორიულად ეწოდებოდა დაბა ყაზბეგს (მოხევეები ოცნებობენ ამ სანუკვარი სახელის დაბრუნებაზე), საუკეთესო შენობა პარტიის რაიკომს ეკუთვნოდა. რაიონის ახალი ხელმძღვანელობის უშუალო დახმარებით ამ შენობაში რაიონის პოლიკლინიკამ დაიდო ბინა, რომელიც აქამდე სრულიად შეუფერებელ შენობაში იყო შეხიზნული.

პოლიკლინიკა ფუნქციონირებს, თანაც ზოგიერთი კაბინეტი მოითხოვს გადაკეთებას, რაც პარალელურად ხდება. აქ ამიერიდან მედიკოსთა სამუშაო პირობები და პაციენტთა მომსახურება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ირაკრაკებს ანკარა წყარო

სოფელ გარბანის მოსახლეობას დიდი ხანია სასმელი წყალი აღარ ღირსებია და შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ წყალს. სიონის საკრებულომ, რომელშიც სოფელ გარბანიც შედის, და ამ სოფლის გამგეობამ გულთან მიიტანეს მშრომელთა გულისტკივილი, მთიდან გამოჰყავთ ანკარა წყარო. შემკრები აუზი დაიდგმება სოფლის თავზე 300 მეტრ სიმაღლეზე და იქიდან წყალს მიიღებს თითოეული ოჯახი.

წყალსადენის გაყვანა შორეული ოცნება როდია. საკრებულომ სამამისოდ მოამარაგა საჭირო ოდენობის მილები და ცემენტი. კოოპერატივი „ტყარშეტი", რომელთანაც ხელშეკრულება გააფორმეს, პროექტს ახორციელებს.

დავით ივანიძე,
საქინფორმის კორ.

გაიმართა ჟურნალისტთა პლენუმი

30 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის გამგეობის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმზე გარკვეული მიზეზების გამო არ განხილულა კავშირის მუშაობის გარდასაქმნელად ესოდენ საჭირო ორგანიზაციული საკითხები, თუმცა მის დღის წესრიგში არანაკლებ მტკივნეული საკითხები იდგა: ტელეჟურნალისტთა აქციისადმი დამოკიდებულება; ყრილობის მოწვევა და კავშირისთვის პროფკავშირული ფუნქციების მინიჭება.

ყრილობაზე გამოსულთა აზრი ერთი იყო, მათ მხარი დაუჭირეს აქციას, გადაიდო ყრილობის მოწვევა, რაც შეეხება პროფკავშირულ ფუნქციებს, გადაწყდა ამ პრობლემის სერიოზული შესწავლა.

ყრილობაზე ისაუბრეს სხვადასხვა მტკივნეულ გადასაწყვეტ პრობლემებზეც. მიიღეს მიმართვა (რომელიც უკვე დაიბეჭდა პრესაში), სადაც ძირითადად მოითხოვენ პრესისა და ინფორმაციის საშუალებათა შესახებ კანონის განუხრელად დაცვას.

კინემატოგრაფისტთა ყრილობა

24 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის VII ყრილობა, რომელსაც უნდა განეხილა გაწეული მუშაობის შედეგები და დაესახა ეკრანის ხელოვანთა შემდგომი საქმიანობის გზები.

არსებითად, ახლანდელი ყრილობა საქართველოს კინემატოგრაფისტთა დამოუკიდებელი კავშირის დამფუძნებელი ყრილობა გახდა.

ერთი დღით ადრე სხდომა გამართა კინომოღვაწეთა ჯგუფმა, რომელიც გამოვიდა ალექსანდრე წუწუნავასა და ვასილ ამაშუკელის სახელობის კინემატოგრაფისტთა საზოგადოების შექმნის ინიციატორად.

ყრილობა გახსნა და კავშირის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში გააკეთა რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ელდარ შენგელაიამ.

ყრილობამ საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრად მიიღო გიორგი ხაინდრავა.

ყრილობას უძღვებოდა რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი.

ყრილობამ დაამტკიცა კავშირის წესდება და ხუთი წლის ვადით აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ელდარ შენგელაია.

საქინფორმი.

სპორტი

გარი კასპაროვი უძლეველია

ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დამთავრდა საერთაშორისო სუპერტურნირი ჭადრაკში. მასში მონაწილეობდა მსოფლიოს რვა უძლიერესი მოჭადრაკე. ასპარეზობა მოეწყო ორ წრედ. ტურნირს ჰქონდა სირთულის მე-17 კატეგორია, რაც ჯერჯერობით სარეკორდოა (მონაწილეთა საშუალო რეიტინგი შეადგენდა 2666 პუნქტს).

შეჯიბრება ბოლო ტურის ჩათვლით ერთობ დაძაბულად წარიმართა. ორთაბრძოლებს საჭირო ტონი მისცა მსოფლიოს ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, რომელმაც მრავალი შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო და 14 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა. საკმარისია ითქვას, რომ მეორე ადგილზე გასულ ნაიჯელ შორტს (ინგლისი) მან ქულანახევრით გაუსწრო. ანანდმა მოაგროვა 8 ქულა, კარპოვმა — 7,5, კამსკიმ — 7, ტიმანმა — 6,5, კორჩნოიმ — 5,5 ბარეევმა — 3.

როგორც ყოველთვის, შეუპოვარი პაექრობა მიმდინარეობდა კასპაროვსა და კარპოვს შორის. პირველ წრეში მსოფლიოს ჩემპიონმა შავებით ყაიმს მიაღწია, ხოლო მეორე წრის ბოლო ტურში თეთრებით ბრწყინვალედ მოუგო მოწინააღმდეგეს. ამრიგად, გამოჩენილი დიდოსტატები საჭადრაკო დაფებთან ერთმანეთს შეხვდნენ 159-ჯერ, აქედან კასპაროვმა მოიგო 24 პარტია, კარპოვმა — 20.

ასე რომ, გარი კასპაროვის მბრძანებლობა საჭადრაკო ტახტზე სრული და განუყოფელია.

მორბენალი და რეკლამა

ვარშავაში ცნობილი იტალიელი მორბენალი პიეტრო მენეა, რომელსაც დღემდე ეკუთვნის 200 მეტრზე რბენის რეკორდი (19,72 წამი), ეწვია ჩეხოსლოვაკიის ქალაქებს ბრნოსა და ოსტრავას. ადგილობრივი პრესის ცნობით, იტალიელი სპორტსმენი აქ რეკლამას უწევდა თავის სპორტულ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს.

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტროს

განცხადება

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით კეთდება ერთობლივი საწარმოების, კომერციული ბირჟების, სააგენტოების და სხვა ორგანიზაციების რეკლამა-განცხადებები, რომლებიც რესპუბლიკის მოქალაქეებს სთავაზობს სხვადასხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, როგორც სეზონურ სამუშაოზე, ასევე ხანგრძლივი პერიოდით დასაქმებას.

დაინტერესებული ერთობლივი საწარმოების, კომერციული ბირჟების, სააგენტოების, სხვადასხვა ინფორმაციის საშუალებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ვაცნობებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით „დასაქმების შესახებ" დადგენილია: „რესპუბლიკაში კომერციული ბირჟების, სააგენტოებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც მოქალაქეთა სამუშაოზე მოწყობის, მომზადებისა და გადამზადების ფასიან მომსახურებას ეწევა (მათ შორის საზღვარგარეთაც), დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიით"), (კარი. III, დასაქმების სახელმწიფო რეგულირება და ორგანიზაცია, მუხლი 13).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთობლივი საწარმოების, კომერციული ბირჟების, სააგენტოების და სხვა ორგანიზაციების მიერ საზღვარგარეთ მოქალაქეთა დასაქმების შესახებ რეკლამა-განცხადებების გაკეთება და მისი პრაქტიკული განხორციელება ლიცენზიის გარეშე ითვლება კანონსაწინააღმდეგოდ.

მომავალში, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას (ტელევიზია, რადიო, პრესა) მივმართავთ თხოვნით არ გამოაქვეყნონ მსგავსი რეკლამა-განცხადებები ზემოაღნიშნული შესაბამისი ლიცენზიის გარეშე.

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს ლიცენზიის გაცემის წესსა და პირობებს უახლოეს მომავალში გაცნობებთ დამატებით.

საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვის და დემოგრაფიის სამინისტრო.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 9 ნოემბერს.

მთავარი რედაქტორი მარიკა ახაიშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14,
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-36;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშარაულის ქ. № 29.
ინდექსი 64434.

საქართველოს რესპუბლიკა